ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ყაზბეგში ვერტმფრენი ჩამოვარდა

3 ადამიანი დაიღუპა

გვ.7

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

პარასკევი, 7 ივნისი, 2019 №133 (8087) ფასი: 60 თეთრი

მთავარი პროკურორი, შესაძლოა, ნათია მეზვრიშვილი გახდეს

გვ.3

ივანიშვილი გახარიასგან მერაბიშვილი 2-ს ქმნის

გვ.4

„რაც მალე მოიშორებს „ოცნება“ კობახიძეს, მით უკეთესი იქნება“

თორნიკე შარაშენიძე: „ბიძინა ცდილობს, გუნდში ზედმეტი ძალაუფლება არავის ჰქონდეს“

„ხელისუფლებაში მყოფი კაგებეს აგენტების გვარები ცოტა ხანში დასახელდება“

გვ.2

ზაალ კასრელიშვილი: „აგენტების გაშიფვრით უკვე დასავლეთიც დაინტერესდა“

გია საგარეიშვილი: „უგულავა ჩვეულებრივი ჯიბგირი და ხაზინის ქურდია“

გვ.5

ევროქოცებისა და ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნება დაუშვებელია!

უჩა ნანუაშვილი: „სარალიძის საქმეზე გამოძიების ჩიხში შემყვანი უნდა დაისაჯოს“

გვ.4

რატომ შეიცვალეს უმრავლესობის წევრებმა პოზიციები სარალიძის საქმეზე

ირაკლი ოქრუაშვილის ახალი პარტიის პრეზენტაცია 11 ივნისს გაიმართება

გვ.3

გვ.6

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოში გეიაღლუმი არასდროს ჩატარდება“

სამართალი გვ.7

მიხეილ კალანდიას მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილმა წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

კალანდიას ოჯახმა სასამართლოს ეზოში მტრედები გაუშვა

ხონის საკრებულოში თანამშრომელს საფულე მოჰპარეს



დაკარგული გოგონების მობილურები ლიმონათის მიტოვებულ საამქროში იპოვეს

ბორჯომში 2 მეცხრეკლასელს ეძებენ

ISSN 1987-9385

3 გედეონ ფოფხაძე: „შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს ფორმალური თავმჯდომარე იქნება“

5 ევროსკეპტიკოსები კავკასიაში გააქტიურდნენ

5 ვარშავაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პარლამენტების სპიკერების სამიტი გაიმართა

6 2018 წელს აუდიტის სამსახურმა 66 მლნ ლარის დარღვევა გამოავლინა

„ხელისუფლებაში მყოფი კაგებეს აგენტების გვარები ცოტა ხანში დასახელდება“

ზაალ კასრელიშვილი: „აგენტების გაშიფვრით უკვე დასავლეთიც დაინტერესდა“

შორენა მარსაგიშვილი

ამერიკაში მოქმედმა გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალმა რუსეთმა“ ქართული სახელმწიფოსთვის საგანგაშო ანგარიში გამოაქვეყნა.

ამერიკელი მკვლევრების გამოქვეყნებულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საბჭოთა სუკის ყოფილი ოფიცრები და რუსეთის სპეცსამსახურების ერთგული თანამშრომლები საქართველოში სამუშაოდ დაბრუნდნენ.

ამერიკული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევა მოულოდნელი არ აღმოჩნდა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტ ზაალ კასრელიშვილისთვის. ის საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხანია სთხოვს ლუსტრაციის კანონის მიღებას.

აქვს თუ არა „ოცნებას“ კავშირი კაგებეშნიკების გააქტიურებასთან, ვინ ბლოკავს ლუსტრაციის კანონის მიღებას, რატომ აქვთ ქართულ სპეცსამსახურებს ხელ-ფეხი შეკრული? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

– ორგანიზაცია „თავისუფალმა რუსეთმა“ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც პირდაპირ წერია, რომ ხელისუფლება რუსეთის აგენტებით არის სავსე. წლებია, რაც ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვთ აგენტების გამოსავლენად, აქედან გამომდინარე, თქვენთვის ანგარიში დიდი მოულოდნელობა არ უნდა იყოს.

– ახალი და მოულოდნელი არაფერი თქმულა. სასიამოვნო ფაქტია, როცა იმაზე წერენ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები, რაზეც ჩვენ წლებია, ვლაპარაკობთ.

მაშინ, როცა ამერიკაშიც კი აღიარებენ, რომ საქართველო აგენტებით არის სავსე, არ შეიძლება, კმაყოფილება არ გამოვხატო იმის გამო, რომ ქართულ-აზერბაიჯანული დაპირისპირება მშვიდობიანად გადაწყდა.

– საიდან ჩანს, რომ დაპირისპირება მშვიდობიანად გადაწყდა?

– ეს ყველაფრიდან ჩანს.

– ძალიან მინდა დაგეთანხმოთ, მაგრამ, არა მგონია, ასე კარგად იყოს საქმე.

– საქმე ნამდვილად კარგად მიდის. კამათი ძმებს შორისაც ხდება. ცივილიზებულობა, კარგი მეზობლობა, სტრატეგიული პარტნიორობა იმას ნიშნავს, რომ ჩხუბის, დავიდარაბისა და ლანძღვა-გინების გარეშე წყდება პრობლემური საკითხი. გარეჯის თემაზე კომისიები მუშაობენ და ყველაფერი ნორმალურად მიდის.

პროვოკატორებს არ გამოუვიდათ თავიანთი ფანდის გამოყენება – ვერ მოახერხეს ქართველებისა და აზერბაიჯანელების დაპირისპირება.

სადავო საკითხთან დაკავშირებით ახლა დოკუმენტაციის შესწავლა მიმდინარეობს. დოკუმენტების მიხედვით, ყველაფერი საჩვენოდ მიდის.

პროვოკატორები, მათ შორის რუსეთის აგენტურა, ბევრს ეცადნენ ამ თემის სათავისოდ გამოყენებას, მაგრამ არ გამოუვიდათ და არც მომავალში გამოუვათ.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?

– იმიტომ, რომ საქართველოში ჩანერგილ აგენტებზე უკვე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ალაპარაკდნენ.

– ეს რას ცვლის?

– ბევრს რამეს. რადგან ამ თემაზე ასე ღიად დაიწყო საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოტა ხანში დასახელდება ხელისუფლებაში და ოპოზიციაში მოკალათებული კაგებეს აგენტების გვარები.

– „თავისუფალი რუსეთის“ ანგარიშში ოპოზიციაზე არ არის საუბარი. იქ ხაზგასმით საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში კაგებეს აგენტები ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაბრუნდნენ.

– აგენტები საქართველოს არასდროს აკლდა. ისინი ხელისუფლებაშიც არიან, ოპოზიციაშიც, მედიაშიც და არასამთავრობოებშიც.

რუსეთის აგენტურა ძალიან არის გაშლილი. მათ ერთი მიზანი აქვთ – საქართველო არ უნდა დალაგდეს. მართვადმა ქაოსმა ისე უნდა შეჭამოს სახელმწიფოებრიობა, როგორც ჟანგი ჭამს რკინას.

„თავისუფალი რუსეთის“ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ რაღაც ზომები უნდა მიიღოს, ეს ძალიან სერიოზული ორგანიზაციაა და ამერიკაში მას პატივს სცემენ.

ამ ორგანიზაციაში ძალიან განათლებული და კვალიფიციური ხალხია. მათ აქვთ სერიოზული კავშირები და ფლობენ ბევრ ინფორმაციას. ისინი არასდროს აკეთებენ განცხადებებს ყურადღების მისაქცევად. ისინი სანამ განცხადებას გააკეთებენ, დეტალურად სწავლობენ საკითხს.

ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ და იციან, რომ მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს დიდი რეზონანსი მოჰყვება. მათ ასეთ განცხადებებს, როგორც წესი, ძიების დაწყება მოსდევს ხოლმე.

ლოგიკას თუ გავყვებით, ძალიან მალე უნდა მივიდეთ სახელებისა და გვარების დასახელებამდე.

– ვინ დაასახელებს რუსეთის აგენტების გვარებს, „თავისუფალი რუსეთის“ წარმომადგენლები თუ ჩვენი ხელისუფლება?

– სახელებისა და გვარების დასახელებაზე მთელ მსოფლიოში ერთიანი ხედვა არსებობს. სახელებსა და გვარებს საჯაროდ არავინ აქვეყნებს, რათა მათი ოჯახის წევრებს საფრთხე არ შეექმნათ.

სამაგიეროდ, აგენტების ვინაობა შევა შავ სიაში – ვერც ისინი და ვერც მათი ოჯახის წევრები სახელისუფლებო სტრუქტურებში და მედიასივრცეში ვეღარ იმუშავებენ.

მეორე საკითხია, თუ რამდენად დაემთხვევა „თავისუფალი რუსეთის“ გაშიფრული აგენტების სია ქართული სპეცსამსახურების გაშიფრული აგენტების ვინაობას.

– ქართული სპეცსამსახურების მიერ აგენტების გაშიფვრის პერსპექტივებს როგორ უყურებთ? ყველამ ვიცით, რომ იქაც მრავლად არიან აგენტები ჩანერგილი.

– ჩემი ყველა ინტერვიუ თქვენთანაც და სხვა მედიასაშუალებებშიც იწყება და მთავრდება ერთი მოთხოვნით – აუცილებელია ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება. ამის გარდა, ვითხოვ, რომ მიღებულ იქნეს კანონი სახელმწიფო ღალატის შესახებ და ამოქმედდეს სასჯელი ცილისწამებისთვის.

არც სააკაშვილმა და არც ივანიშვილმა არ მიიღეს კანონი ლუსტრაციის შესახებ. ეს, მგონი, რაღაცაზე მეტყველებს.

– „ოცნება“ უკვე მეშვიდე წელია, რაც ხელისუფლებაშია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც ისინი მიიღებენ ამ კანონს.

– ასეთი პირი უჩანს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში უფრო სერიოზული მუხრუჭები არსებობს, ვიდრე გაშიფრული აგენტები.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს სპეცსამსახურებს უპრობლემოდ შეუძლიათ აგენტების გაშიფვრა. მეტსაც გეტყვით, მათ ეს აგენტები მიზანში ჰყავთ ამოღებული. პოლიტიკური ნება თუ იქნება, სამ დღეში მოაცილებენ ამ პარაზიტებს ქვეყანას.

– სამი დღე არარეალურად მოკლე დრო ხომ არ არის?

– სავსებით საკმარისი დროა პარაზიტების ჩამოსაცილებლად, ოღონდ ამისთვის პოლიტიკური ნება და ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებაა საჭირო.

მარტო ლუსტრაციის შესახებ კანონი არ კმარა. საჭიროა ცილისწამების მუხლის ამოქმედება და სახელმწიფოს ღალატის შესახებ კანონის მიღება.

ამ სამი კანონის მიღების შემთხვევაში სპეცსამსახურებს ხელ-ფეხი გაეხსნებათ. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ქართულ სპეცსამსახურებს საკმარისი ძალა აქვთ იმისთვის, რომ საქართველოს მტრები ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ მოაშორონ.

– თავიან რიგებში ჩანერგილი აგენტების მოშორებას როგორ შეძლებენ ქართული სპეცსამსახურები?

– ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება. ამასთან, ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ აგენტები მაღალ თანამდებობებზე იყვნენ. სპეცსამსახურები პერიოდულად ახორციელებენ ასეთი ადამიანების გამოხშირვას.

ძალიან ცუდი ფაქტია, რომ სპეცსამსახურებში სხვა ქვეყნების აგენტები არიან, მაგრამ ამისგან არც ზესახელმწიფოები არიან დაზღვეული. კაგებე ამერიკაში ნერგავდა თავის აგენტებს და ჩვენ რატომ გვიკვირს, გავუმართოთ იურიდიულად ხელი და მერე ნახავთ რასაც იზამენ ჩვენი სპეცსამსახურები.

დარწმუნებული ვარ, რომ სპეცსამსახურებში გაშიფრული ჰყავთ ეს აგენტები, მაგრამ მათი გაშვებისგან თავს იკავებენ. ურჩევნიათ, რომ გაშიფრული აკონტროლონ, თანაც კანონი არ უმაგრებთ ზურგს, რომ ეს ადამიანი პასუხისგებაში მისცენ. წინა ხელისუფლების მსგავსად, იარაღსა და ნარკოტიკს ხომ არ ჩაუდებენ, რომ დაიჭირონ.

– იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებას არც ესენი ერიდებიან. ახლო წარსულში თავად შსს-მ დაიწყო კამპანია არაჩადებას. აგენტის დაჭერა თუ უნდათ, ჩაუდონ და დაიჭირონ, უდანაშაულო ადამიანების დაჭერა არ რცხვენიათ და აგენტებს რას ეკეკლუცებიან.

– ჩაუდებენ და არასამთავრობო ორგანიზაციები ქვესკნელს ამოაბრუნებენ – „ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობაზე უარესიაო. მათ ხომ ასეთი ლოგიკა აქვთ, „ქართული ოცნება“ არის ძალიან ცუდი და ამიტომ საქართველოს სათავეში მიხეილ სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს.

– უარესია თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მათ შორის განსხვავება თითქმის აღარ არის.

– ეს საუბრის სხვა თემაა და ამ თემაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა ისევ აგენტებს მივხედოთ.

– მივხედოთ და ის გვითხარით, ვინ უნდა მოამზადოს კანონი ლუსტრაციის შესახებ – მთავრობამ თუ პარლამენტმა?

– ვინ უნდა მოამზადოს და პარლამენტმა. საკანონმდებლო ორგანო მაგიტომაც ჰქვია, რომ კანონები უნდა მოამზადოს.

საქართველო თვითკმარი რომ იყოს, ამისთვის საჭიროა დინამიკურად მზარდი, ადგილობრივ ნედლეულზე დამოკიდებული ეკონომიკა და უსაფრთხოება, რათა აქ ინვესტორები შემოვიდნენ. ასევე საჭიროა კანონის უზენაესობა, რათა ადამიანებს სამართლის საძებნელად აქციების გამართვა არ დასჭირდეთ.

ამ სამი კომპონენტის გარეშე სახელმწიფო ვერც თვითკმარი იქნება და ვერც – დამოუკიდებელი.

რაც შეეხება პარლამენტს, ეს ორგანო, უბრალოდ, ვალდებულია, ეს კანონი მიიღოს.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, მივმართო ხალხის რჩეულებს – ახალი ველოსიპედის გამოგონება არ დაგჭირდებათ. არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმები და ისინი მოიძიეთ.

გარდა ამისა, არსებობს ბალტიისპირეთის ქვეყნებში და პოლონეთში განხორციელებული რეფორმა, რომელიც თავის დროზე დასავლეთმა იდეალურად შეაფასა. ჩვენს დეპუტატებს მხოლოდ კანონის გადმოთარგმნა დასჭირდებათ.

– ეგ ამბავი მაგათაც ეცოდინებათ, მაგრამ, ეტყობა, გადმოთარგმნაც ეზარებათ.

– პოლიტიკური ნება რომ იყოს, არაფერი დაეზარებოდათ.

– იქნებ თავადაც აგენტები არიან და ამიტომ არ იღებენ ამ კანონს?

– აგენტები ხელისუფლებაშიც არიან, ოპოზიციაშიც, მედიაშიც და არასამთავრობო ორგანიზაციებშიც.

ხელისუფლებას ურჩევნია, ჩუმად აკონტროლოს გაშიფრული აგენტები მანამ, სანამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან არ ექნებათ მკაფიო მხარდაჭერა. წინა ხელისუფლების მსგავსად ვერ მოიქცევიან.

– რას გულისხმობთ?

– სააკაშვილმა რომ დაიჭირა რუსეთის აგენტები და ამაზე დიდი სპექტაკლი დადგა. მერე მოსკოვიდან დარეკეს, ზეწოლას ვერ გაუძლო და დაჭერილი აგენტები რუსეთში გაუშვა. ეს იყო სამარცხვინო ქმედება.

– იმან აგენტების დაჭერა გაბედა. ესენი ამასაც ვერ ბედავენ.

– პოლიტიკური ნება თუ იქნება, აუცილებლად გაბედავენ. მინდა, ისიც იცოდეს თქვენმა მკითხველმა, რომ აქ მხოლოდ რუსული აგენტურა არ მოქმედებს. აქ კიდევ ბევრი სხვა ქვეყნის აგენტურაა წარმოდგენილი.

რადგან „თავისუფალმა რუსეთმა“ აგენტებზე გააკეთა ანგარიში, ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი აგენტების გაშიფვრით დაინტერესდა.

პროცესი ძალიან მალე დაიწყება.

„აგენტები საქართველოს არასდროს აკლდა. ისინი ხელისუფლებაშიც არიან, ოპოზიციაშიც, მედიაშიც და არასამთავრობოებშიც. რუსეთის აგენტურა ძალიან არის გაშლილი. მათ ერთი მიზანი აქვთ – საქართველო არ უნდა დალაგდეს. მართვადმა ქაოსმა ისე უნდა შეჭამოს სახელმწიფოებრიობა, როგორც ჟანგი ჭამს რკინას“

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მთავარი პროკურორი, შესაძლოა, ნათია მეზვრიშვილი გახდეს

ივანიშვილი გახარიასგან მერაბიშვილი 2-ს ქმნის

შორენა მარსაგიშვილი

მთავარ პროკურორ შალვა თადუმაძეს თანამდებობა ჯერ არ დაუტოვებია და მისი სკამი „ოცნებაში“ ახალი დაპირისპირების მიზეზი უკვე გახდა.

ეს ბუნებრივიცაა – მმართველ გუნდში არსებულ გავლენიან ჯგუფებს სურთ, რომ საგამოძიებო სამსახურის უფროსი მათი კაცი იყოს.

საგამოძიებო უწყებასთან თავისი ანგარიშები აქვს უსაფრთხოების საბჭოს მდივანსა და შეთავსებით შს მინისტრ გიორგი გახარიასაც. ბიძინა ივანიშვილის კურთხევით ის ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ შეუდგა ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლის დამყარებას.

მას ყურადღების მიღმა არც პროკურატურა დაუტოვებია. ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე მიხეილ კალანდიას მოულოდნელმა დაკავებამ ბევრი კითხვა გააჩინა. ამ დაკავებას მალე შეიძლება მაღალი რანგის პროკურორების პასუხისგებაში მიცემაც მოჰყვეს.

როგორც ამბობენ, გახარიასა და მირზა სუბელიანს შორის რაღაც გარიგება შედგა. შს მინისტრი მისგანაც მიიღებდა დამატებით ინფორმაციებს, თუ ვინ და როგორ აყალბებდა ამ საქმეს.

პროკურატურაში რომ რაღაც ისე ვერ არის, ამაზე მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებაც მეტყველებს. შალვა თადუმაძეს მოსამართლეობის სურვილი საეჭვოდ სწრაფად გაუჩნდა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მას ამაში უსაფრთხოების საბჭოს მდივნის გავლენებიც დაეხმარა.

ახლო მომავალში საგამოძიებო უწყებაზე გიორგი გახარიას გავლენა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. „ოცნების“ კულუარებში უკვე ამბობენ, რომ შს მინისტრმა ივანიშვილთან ამ პოსტზე თავის ნდობით აღჭურვილ პირს გაუწია რეკომენდაცია. საუბარია შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილზე.

შალვა თადუმაძე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის პროტეჟე იყო. არ არის გამორიცხული, რომ ჯერ ისევ მთავარმა პროკურორმა წასვლა წულუკიანის გამო გადაწყვიტა.

მართალია, წულუკიანი ჯერ ისევ თანამდებობაზეა, მაგრამ „ოცნებაში“ დიდი ხანია ამბობენ, რომ მას „ოცნების“ ლიდერთან ურთიერთობა დაეძაბა.

რამდენიმეჯერ გავრცელდა ინფორმაცია მისი გადადგომის შესახებ. „ოცნების“ კულუარებში ახლაც ამტკიცებენ, რომ ის წასულია, მაგრამ ამ ამბავს ჯერ არ ახმაურებენ.

სხვათა შორის, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ცოტა ხნის წინ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს ალეკო ტაბატაძე. ის ამ უწყებაში სუსიდან გადაისროლეს.

ალეკო ტაბატაძე გახარიას კადრად მოიაზრება. არ არის გამორიცხული, რომ წულუკიანის წასვლის შემდეგ სწორედ ის ვიხილოთ იუსტიციის მინისტრად.

ვინ გახდება მთავარი პროკურორი ან იუსტიციის მინისტრი, ამას ივანიშვილი გადაწყვეტს. გადაწყვეტილების მიღებამდე ის თავის ქვეშევრდომებსაც მოუსმენს. უკვე აშკარაა, რომ „ოცნების“ განშტოებები გახარიას მთავარი პროკურორის პოსტს ასე ადვილად არ დაუთმობენ.

აქამდე პროკურატურას ოთარ ფარცხალაძე აკონტროლებდა. შს მინისტრის გამარჯვების შემთხვევაში კი ყოფილი მთავარი პროკურორი საგამოძიებო უწყებაზე კონტროლს დაკარგავს.

საგამოძიებო უწყების გაკონტროლების სურვილი კახა კალაძის ფრთასაც აქვს. ამ დაჯგუფებას წარმოადგენს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და მისი გუნდი.

მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ირაკლი კობახიძეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობა სურდა. მის შემცვლელად გია ვოლსკის უკვე ღიად ასახელებენ.

მას შემდეგ, რაც თადუმაძის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ, მავანმა ირაკლი კობახიძის მთავარ პროკურორობაზეც დაიწყო საუბარი.

მთავარ პროკურორად მეზვრიშვილის შესაძლო წარდგენაზე ირაკლი კობახიძის გაკეთებულმა კომენტარმა კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი, რომ მას სურს საგამოძიებო უწყების შეფობა.

კობახიძის თქმით, შალვა თადუმაძე ჯერ არ არის დასახელებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად, თუმცა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე მისი შემცვლელის შესახებ სპეკულაციები დაწყებულია.

– შალვა თადუმაძეს ყველანი ძალიან კარგად ვიცნობთ. მას ვიცნობთ, როგორც პროფესიონალს და შეფასების საფუძველი ეს არის. თუმცა ჯერ არც შალვა თადუმაძეა დასახელებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად. ამ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს და უკვე ვხედავთ, რომ სპეკულაციებია შალვა თადუმაძის შემცვლელის თაობაზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ მთავარი პროკურორის პოსტზე დიდხანს ვერავინ ჩერდება.

თავიდან ამ თანამდებობაზე არჩილ კბილაშვილი დასვეს, რომელმაც ერთი წელი იპროკურორა.

მერე მოვიდა ოთარ ფარცხალაძე, რომელსაც ნაციონალებმა სერიოზული სკანდალი აუგორეს. გიგი უგულავა ამტკიცებდა, რომ ფარცხალაძემ წლების წინ გერმანიაში ბოტასები მოიპარა. ამ სკანდალის გამო ფარცხალაძე მალევე წავიდა პოსტიდან.

საგამოძიებო უწყება მისმა მარჯვენა ხელმა გიორგი ბადაშვილმა ჩაიბარა. დიდხანს არც მისმა პროკურორობამ გასტანა.

ბადაშვილის შემდეგ საგამოძიებო უწყება ირაკლი შოთაძემ ჩაიბარა. მასაც მალე მოუწია გადადგომა. ის გასულ წელს ხორავას ქუჩის საქმეზე დაწყებულ აქციებს გადააყოლეს.

შალვა თადუმაძეს ჯერ პროკურორობიდან ერთი წელიც არ შესრულებია და უკვე მიდის. ეტყობა, მთავარი პროკურორის სავარძელს ჯადო აქვს გაკეთებული.

ცვლილებებს არც შინაგან საქმეთა სამინისტრო უჩივის. აქაც რამდენიმე მინისტრი გამოიცვალეს. ყველა აღიარებს, რომ გახარია „ოცნების“ შს მინისტრებიდან ყველაზე ძლიერია. კრიმინალს რამდენად ეფექტურად ებრძვის, ეგ სხვა საქმეა. ფაქტი ის არის, რომ ის ყველაზე გავლენიანი ფიგურა გახდა მთავრობაში.

როგორც ამბობენ, ივანიშვილი მისგან ვანო მერაბიშვილი 2-ს ქმნის. „ოცნების“ ლიდერს არაერთხელ გამოუხატავს ვანოს მიმართ სიმპათია და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის კარგი მენეჯერი იყო.

მერაბიშვილი სააკაშვილისთვის ნამდვილი ხერხემალი აღმოჩნდა. ეტყობა, ივანიშვილსაც სურს, რომ გახარია მისი ხერხემალი გახდეს.

გედეონ ფოფხაძე: „შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს ფორმალური თავმჯდომარე იქნება“

„ხელისუფლებამ პოლიტიკური არჩევანი ძალოვნების სასარგებლოდ გააკეთა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, მოქმედი მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე აკეთებს განაცხადს და ამბობენ, რომ შესაძლოა სწორედ ის გახდეს უზენაესის თავმჯდომარე. თუ გიჩნდებათ კითხვები?

– შალვა თადუმაძე რომ არ იყოს მთავარი პროკურორი და ისე გაეკეთებინა განაცხადი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე, ამაში საერთოდ ვერ დავინახავდი პრობლემას.

– იცნობთ?

– შალვა თადუმაძეს?! როგორ არ ვიცნობ. შალვას მიმართ ყოველთვის სიმპათიით ვიყავი განწყობილი. როგორც იურისტი, არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, პირად ურთიერთობაში მასზე უარყოფითს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ პოლიტიკური მიდგომაა უარყოფითი.

ის, რაც ახლა ხდება, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო სისტემა გადასულია სისტემის შენარჩუნებაზე. ყველა ეს საკადრო გადაადგილება მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს – მოხდეს არსებული სისტემის შენარჩუნება.

სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანა აღარ აქვს. სამართლიანი სასამართლო, უდანაშაულობის განცდა, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყნის ინტერესების დაცვა – ეს ამოცანები არ დგას ქვეყნის წინაშე. ამოცანა მხოლოდ ერთია – ივანიშვილის ირგვლივ არსებული პოლიტიკური ცენტრი იყოს კომფორტულად. სახელმწიფოს ამოცანები აღარ აქვს, რაც ძალიან ცუდია, ქვეყნის წინსვლას, და განვითარებას აფერხებს.

სააკაშვილის ხელისუფლება ბოროტი ძალა იყო, რომელიც არ უნდა მობრუნდეს ხელისუფლებაში, მაგრამ მას იმის პრეტენზია მაინც ჰქონდა, რომ ყოფილიყო ძლიერი სახელმწიფოს ბოროტი მეთაური. ახლა ამოცანა აღარ არის, რომ საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყოს.

– თუ ასეა, ამოცანა რა არის?

– პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომელიც ივანიშვილის გარშემოა დღეს, კომფორტულად იყოს. ამის ნათელი მაგალითია ეს საკადრო გადაადგილებები, მეტი არაფერი.

– ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებაზეა გადასული?

– სისტემის შენარჩუნებაზე, რაც, რა თქმა უნდა, ძალაუფლების შენარჩუნებასთან თანხვედრაშია. უკვე სისტემა კი არ ემსახურება მოქალაქეს, საზოგადოებას, ქვეყანას, არამედ პოლიტიკურ სისტემას, მის შენარჩუნებას ემსახურება უკვე ყველაფერი.

ეს არის მთავარი ორიენტირი. ამ ორიენტირში კი ავტომატურად მოსამართლეები, ყოფილი ზონდერები, ჩინოვნიკები ხდებიან სახელმწიფო სიკეთეების მთავარი მომხმარებლები და არა – ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქეები, საზოგადოება.

მთლიანობაში გამოდის, რომ სახელმწიფო ხალხისთვის აღარ არის. ეს არის სახელმწიფო, რომელიც სახალხო ინტერესებს უპირისპირდება და მთლიანად ერგება სისტემის კერძო ინტერესებს.

– ისევ თადუმაძეს დავუბრუნდეთ.

– თუ თადუმაძე აპირებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობას და ამისთვის ემზადებოდა, მაშინ მას თავის დროზე უარი უნდა ეთქვა პროკურორობაზე. მე აქ მაქვს კითხვა – რატომ დათანხმდა მთავარ პროკურორობას?! როდესაც ეს შეთავაზება მიიღო, მაშინ უნდა ეთქვა უარი და, მიზეზსაც თუ დაასახელებდა, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდებოდა. დღეს, რა თქმა უნდა, მთავარი პროკურორი რომ მიდის მოსამართლედ, ეს უკვე არის პრობლემა.

– ინტერესთა კონფლიქტი არის? ის ივანიშვილის ადვოკატი იყო და ივანიშვილის გავლენები ხელისუფლებაში ახსნას არ საჭიროებს.

– არა, ინტერესთა კონფლიქტსაც ვერ ვხედავ. დიახ, კარგი ადვოკატები უნდა მიდიოდნენ მოსამართლეებად და, გარედან თუ არ შევიდნენ სასამართლო სისტემაში ძლიერი იურისტები, მაშინ კლანი ისევ იქნება. მე პრობლემას ვხედავ იმაში, რომ ის პროკურორობიდან მიდის სასამართლოში.

შალვა თადუმაძეს კარგ ადვოკატობას კი არ ვუწუნებ, იმას ვუწუნებ, რომ მოქმედი მთავარი პროკურორობიდან მიდის სასამართლოში.

რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს კონკრეტულ ქეისთან დაკავშირებით, რომელიც ამა თუ იმ მოსამართლეს დაეწერება განსახილველად.

– კლანის წევრები ჩანან ამ სიაში?

– როგორ არ ჩანან! კლანი თითქმის სრული შემადგენლობით არის წარმოდგენილი სიაში. შალვა თადუმაძე თუ წინა პლანზე წამოიწევს, ეს მხოლოდ ფორმალობა იქნება. ის პროკურატურაშიც ფორმალურად იყო, ნაციონალების დროინდელი პროკურორები მართავდნენ. უზენაეს სასამართლოშიც მისი თავმჯდომარეობა ფორმალობა იქნება.

– დაემორჩილება კლანს? რამდენად ძლიერი პიროვნებაა?

– ეს არ არის პიროვნულ ფაქტორზე დამოკიდებული. თუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ამოცანაა, რომ შალვა თადუმაძე ფორმალური თავმჯდომარე იყოს, რა ძლიერი პიროვნებაც უნდა იყოს თადუმაძე, არაფერი გამოუვა. ეს პოლიტიკური სისტემა ძლიერი პიროვნებების ფაქტორს გამორიცხავს.

– შს-დან ნათია მეზვრიშვილი თუ გადავა მთავარ პროკურორად, რაზეც უკვე ღიად საუბრობენ, ეს რამდენად იქნება გიორგი გახარიას გაძლიერება?

– რა თქმა უნდა, იქნება! დღეს „ოცნებაში“ გახარიას პოლიტიკური რესურსი ყველაზე უფრო გამოკვეთილია. ეს კონფიგურაცია კი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ძალოვნების როლი იქნება დომინანტი, პოლიტიკური სეგმენტი კი 2020 წლისთვის მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ეს ბუნებრივი პროცესია. ეს არ არის გახარიას, როგორც პერსონის, გაძლიერების პროცესი. ეს არის არსებული სისტემის გაძლიერების პროცესი. ნელ-ნელა სისტემა გადადის ძალოვნებზე.

– რაც სააკაშვილის ხელისუფლების დროს მოხდა, როდესაც სისტემის ხერხემალი ვანო მერაბიშვილი იყო?

– დიახ. როდესაც სისტემა გადადის თვითშენარჩუნებისა და თვითგადარჩენის რეჟიმზე, ეს უკვე ბუნებრივი პროცესი ხდება. ეს გამორიცხავს პოლიტიკურ პროცესს, კონსულტაციებს, მოლაპარაკებებს და ა.შ.

ეს სრული კატასტროფაა. ხელისუფლებამ პოლიტიკური არჩევანი ძალოვნების სასარგებლოდ გააკეთა. ჩემთვის ნათელია, რომ პოლიტიკურ პროცესს სწორედ ისინი წაიყვანენ.

ირაკლი ოქრუაშვილის ახალი პარტიის პრეზენტაცია 11 ივნისს გაიმართება

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაანონსებულ პარტიას ქმნის.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, პრეზენტაცია 11 ივნისს, 15 საათზე, „შერატონში“ გაიმართება.

ოქრუაშვილის პარტიის სახელწოდება და შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია.

ცხადია მხოლოდ ერთი – საზოგადოებას პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენის მოთხოვნილება აქვს, ყოფილ თავდაცვის მინისტრს კი – მესამე ძალის შექმნაზე პრეტენზია.

უჩა ნანუაშვილი: „სარალიძის საქმეზე გამოძიების ჩიხში შემყვანი უნდა დაისაჯოს“

რატომ შეიცვალეს უმრავლესობის წევრებმა პოზიციები სარალიძის საქმეზე

იაგო ნაცვლიშვილი

ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის დროს დავით სარალიძის მკვლელობის საქმეზე განზრახ ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ მიხეილ კალანდიას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა. კალანდია ამ ბრალდებით სამართალდამცავებმა 2 დღის წინ დააკავეს. კალანდია ის პირია, რომლის დაკავებასაც ითხოვდნენ დაზარალებული მხარე, უფლებადამცველები და ოპოზიციაც. არსებული ინფორმაციით, კალანდიას უდანაშაულოდ ცნობის გამო პროკურატურაში „საქმე შეკერვა“ მიმდინარეობდა, ამაზე საუბრობდნენ ხსენებული პირები, თუმცა, ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა.

დაადგა თუ არა მართლმსაჯულება სწორ გზას, არის თუ არა მოლოდინი, რომ საქმის გამყალბებელი პროკურორ-გამომძიებლები დაისჯებიან და როგორ უნდა გავიგოთ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, რომლებიც ჯერ პროკურატურას იცავდნენ, ბოლოს კი პოზიციები შეცვალეს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** საუბრობს.

– რა პროცესები მიმდინარეობს ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, დაადგა მართლმსაჯულება სწორ გზას?

– ყოველ შემთხვევაში, პროგრესი სახეზეა. ის, რომ საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რაღაც კონკრეტული შედეგები არის, ეს უკვე პროგრესია. ჩვენ გვახსოვს, რა შედეგები დაიდო გამომძიების პირველ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ამ შედეგებს თუ შევადარებთ, პროგრესი სახეზეა, მაგრამ ეს იყო საზოგადოების, თვითონ უშუალოდ დაზარალებული მხარისა და უფლებადამცველების აქტიურობის შედეგი, რამაც რაღაცნაირად მდგომარეობა შეცვალა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოც აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. კონკრეტულმა მოსამართლემ გამოიჩინა პრინციპულობა და ამ ყველაფერმა მთლიანობაში რაღაც შედეგი მოგვცა. რა თქმა უნდა, ეს არ არის საბოლოო შედეგი, მაგრამ ის, რომ გამოძიების მისამართით ბევრი კითხვა დაისვა და გვაქვს კონკრეტული შედეგი, უკვე კარგია. თუმცა, ამ საქმეზე რომ არ ყოფილიყო აქტიურობა, დარწმუნებული ვარ, ეს საქმეც ჩვეულებრივად ისეთივე საქმე იქნებოდა, როგორც, სამწუხაროდ, სხვა ბევრ საქმეზე დამდგარა – ცუდი შედეგი.

რა თქმა უნდა, გვაქვს შედეგი და, შეიძლება ითქვას, რომ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ამ საქმესთან დაკავშირებით საპარლამენტო კომისიაც კი შეიქმნა. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური ნება ამ საქმესთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, მიმაჩნია, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით პროგრესი ნამდვილად არის. თუმცა, ეს საკმარისი არ არის საბოლოოდ სამართლიანობის დამკვიდრებისთვის ამ საქმეზე და ეს უნდა გაგრძელდეს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი მოხდა ამდენი ენერგიის, რესურსებისა და დროის ხარჯვის შედეგად. შესაძლებელი იყო, რომ თავიდანვე ეფექტიანად წარმართულიყო ამ საქმის გამოძიება, რისი შესაძლებლობაც სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ. რაც დავინახეთ, არის ის, რომ ბევრი ხელს აფარებდა დამნაშავეს და საქმის ჩაფარცხვას ცდილობდა. დღეს, მაგალითად, მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლება ადეკვატურია და კონკრეტული პირების მიმართ გამოძიება მიმდინარეობს.

– შეიძლება თქვათ, რომ ხელისუფლებამ გარკვეულწილად დათმო პოზიციები? ახსენეთ საგამოძიებო კომისია და გვესმის უმრავლესობისგან, რომ კომისიას არანაირი შედეგი არ დაუდია და ა.შ. ცდილობენ ოპოზიციის როლის ჩაფარცხვას. ეს რა არის?

– კომისიას შედეგი როგორ არ დაუდია, ფაქტობრივად, ძალიან ბევრ საკითხში კომისიამ სწორად იმუშავა და დადო ფაქტი. სასამართლოს გადაწყვეტილებამაც დაადასტურა, რომ კომისიას გარკვეული კომპეტენციები სწორად ჰქონდა. მე ვფიქრობ, ხელისუფლება მიხვდა, რომ საქმეში იყო საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი და რეალურად იქიდან გამომდინარე, რომ ეს ის საქმეა, რომელმაც ბევრი პრობლემა წარმოაჩინა ქვეყანაში. ამაზე საუბრობს ყველა ავტორიტეტული ორგანიზაცია, იქნება ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო.

– ხელისუფლება მიხვდა ამას, თუ მიხვდა იმას, რომ ამ საქმის გამო შესაძლოა პრობლემები შეექმნას. არის შეფასებები, როდესაც მას ადარებენ გირგვლიანის საქმეს და ა.შ. ამის გამო ხომ არ დათმო მან პოზიციები?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია, რა მოხდა სინამდვილეში. თუ ვსაუბრობთ კონკრეტულ ჩინოვნიკებზე, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ საქმეში, რათა არ მომხდარიყო ფაქტების დადგენა. მაგრამ, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით ხელისუფლების ყველა შტოზე. ამ ხნის განმავლობაში უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ძალიან ბევრი პრობლემა დადგა ამ საქმის გამო. ეს ბევრმა დაინახა ხელისუფლებაშიც. არიან ადამიანები, რომლებიც ამას ხედავენ და ის რისკები, რომლებიც ახლდა ამ საქმის გამოუძიებლობას, სწორად შეაფასეს თანამდებობის გარკვეულმა პირებმაც, მე ამას არ გამოვრიცხავ.

რა თქმა უნდა, აქ ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ ბევრი საქმის გამოძიებას. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ვფიქრობ, ხელისუფლებამ ადეკვატურად შეაფასა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა და სწორედ ამიტომაც არის გარკვეული ნაბიჯები, რომ საქმე ბოლომდე მივიდეს.

– გაქვთ მოლოდინი, რომ დაისჯებიან ის პირები, რომლებიც გამოძიებას ხელს უშლიდნენ? ხედავთ თუ არა ამის მზაობას საგამოძიებო უწყებების მხრიდან?

– ჯერჯერობით მე ვერაფერს ვხედავ. ალბათ დროა საჭირო, რომ ეს დავინახოთ, მაგრამ, წესით, აქამდე უნდა მიეცათ კონკრეტული პირები პასუხისგებაში კონკრეტული სამოხელეო დანაშაულისთვის, რომელიც უკვე დადასტურდა. რეალურად ამ საქმეში იყო ძალიან ბევრი რამე შეცდომით გაკეთებული, რაც, რა თქმა უნდა, მოითხოვს გარკვეულ პასუხისმგებლობას.

ეს პროცესი ამ თვალსაზრისით შორს წასული არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გამოკვეთა და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ დაყენება. რეალურად იყო ის, რომ რამენაირად ჩაფარცხულიყო ეს საქმე.

– თქვენ რით ხსნით იმას, რომ უმრავლესობის დეპუტატებმა, რომლებიც ხმალამოღებული იბრძოდნენ და იცავდნენ პროკურორებსა თუ გამომძიებლებს, დღეს უკვე პოზიცია შეიცვალეს. მათ ინფორმაცია მიიღეს თუ სხვა ტაქტიკური თამაში დაიწყო ხელისუფლების მხრიდან?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ შიგნით იყოს გარკვეული დაპირისპირება. ამის ნიშნები შეიძლება არსებობს კიდეც, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთელმა საზოგადოებამ დაინახა, მართლაც იყო საქმე, რომელიც იყო შეკერილი. ეს ყველაფერი ამ თეთრი ძაფების ამოვსებაზეა ფოკუსირებული, ალბათ ის პოლიტიკოსებიც არ არიან დაინტერესებული იმით, რომ ეს ასე დარჩეს. ეს დანაშაული, რომელიც გამოძიების პროცესში იყო, რა თქმა უნდა, ბოლომდე უნდა მივიდეს. პოლიტიკოსები ალბათ ხედავენ ამ ყველაფერს და აღარ ცდილობენ ამ ყველაფრის იმ დოზით შენარჩუნებას, რაც თავიდანვე იყო გამოკვეთილი მათი მხრიდან.

ეს არის საკითხი, რომელმაც სისტემური პრობლემები გამოავლინა. ეს სისტემური არსებობს პროკურატურაში, გამოძიებაში, სასამართლოში. ამას ჩვენ წლების განმავლობაში ვამბობდით, რომ ეს სისტემური პრობლემები ძალიან სახიფათოა. ეს არის ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ რეალურად ხელისუფლება და გარკვეული თანამდებობის პირები არიან დაინტერესებული დაუსჯელობის სინდრომის შენარჩუნებით. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეზე იყო მცდელობა, რომ გამოძიება არ ჩატარებულიყო და საქმე არ ყოფილიყო გამოძიებული სათანადოდ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს საქმე მივიდეს ბოლომდე და სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ საქმის გამოძიება ჯეროვნად მოხდა. ამისთვის კი საჭიროა, ის პირებიც დაისაჯონ, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს და ისინიც, ვისაც გადაცდომები ჰქონდა.

„რაც მალე მოიშორებს „ოცნება“ კობახიძეს, მით უკეთესი იქნება“

თორნიკე შარაშენიძე: „ბიძინა ცდილობს, გუნდში ზედმეტი ძალაუფლება არავის ჰქონდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, კეთდება შეფასებები, რომ 2020-სთვის ბიძინა ივანიშვილმა უკვე დაიწყო სიტუაციის გადალაგება. თქვენ როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს, რა აქვს განზრახული მთავარ მეოცნებეს?

– ბუნებრივია, კვლავაც ხელისუფლების კონტროლი. ბიძინა ივანიშვილი ვერ იქნება ისე კომფორტულად ვერსად, როგორც საქართველოშია, ამიტომაც მას უნდა, თუკი საქართველოში გააგრძელებს ცხოვრებას, ჰქონდეს კონტროლი ყველაფერზე, რომ რამე რისკი არ შეექმნას. ამ ბოლო დროს, პრინციპში, ვხედავთ რამდენიმე სერიოზულ გამარჯვებას.

– რომელ გამარჯვებებს გულისხმობთ?

– ერთ-ერთი გამარჯვება ის არის, რომ, ბოლოს და ბოლოს, გადაჭრეს სარალიძის პრობლემა და ამით ბევრი მოიგეს, ბუნებრივია. მეორე, ისეთი პირი უჩანს, რომ მოიგებენ მთაწმინდაზე არჩევნებს. ალბათ ვერ მოახერხებს ოპოზიცია იმას, რომ ამომრჩევლის დიდი ნაწილი მიიყვანოს არჩევნებზე და, თუკი დაბალი აქტივობა იქნება, ბუნებრივია, მოიგებს „ოცნების“ კანდიდატი ადმინისტრაციული რესურსისა და კიდევ სხვა რაღაცების ხარჯზე და ამ ეტაპზე „ოცნება“ კიდევ ერთხელ დააფიქსირებს თავის უპირატესობას.

დღეს „ოცნება“ მცირე უპირატესობით, მაგრამ მაინც ლიდერობს ბევრი რაღაცის ხარჯზე. პირველ რიგში, იმის ხარჯზე, რომ რეალურად აკონტროლებს ყველაფერს. იმის ხარჯზეც, რომ ჯერჯერობით ახერხებს, ამომრჩევლის უმრავლესობა რჩება სახლში, არ აძლევს ხმას არც ერთს, არც მეორეს და ამ სიტუაციაში „ოცნება“ იმარჯვებს.

– ოპოზიცია მოსყიდვასა და დაშინებაზე საუბრობდა მთაწმინდის რაიონში. ამაზე რას ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს იქნება. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი იქნება პასიური, ვინც პირველ ტურში მივიდა, შესაძლოა, ისიც აღარ წავიდეს არჩევნებზე. ამიტომ, შესაძლოა, დიდად აღარ დასჭირდეთ მოსყიდვა-დაშინება და ისე მოიგონ ადმინისტრაციული რესურსით.

– ხელისუფლება აიძულებს საზოგადოებას, ცუდსა და უარესს შორის გააკეთოს არჩევანი?

– დიახ, ზუსტად ასე აყენებენ საკითხს. რეალურად სხვას არავის აძლევენ საშუალებას, განვითარდნენ და ეს ამ ქვეყანაში მარტივია, იმიტომ, რომ ბიზნესები ვერ ბედავენ, დააფინანსონ პოლიტიკური პარტიები, თუ არა აქვთ ამაზე კურთხევა ზემოდან, შესაბამისად, მესამე ძალაც ვერანაირად ვერ ჩნდება ასეთ სიტუაციაში.

– როდემდე იქნება ეს სიტუაცია?

– არ ვიცი, თუ არ ამოხეთქა ხალხში სერიოზულმა პროტესტმა, არაფერი შეიცვლება. რეალურად არანაირი მესამე ძალა არ ჩანს.

– ანუ 2020-სთვის ისევ „ოცნება“ გვეყოლება, ოღონდ ცოტა სახე შეცვლილი?

– არც ვიცი, „ოცნებას“ რა სახე უნდა შეუცვალო, არსი ზუსტად იგივე იქნება. ჩვენ ვნახეთ, რომ „ოცნებამ“ 2016 წელს მოიყვანა ბევრი ახალგაზრდა და იმედი გაჩნდა, რომ „ოცნება“ გაკეთილშობილდებოდა. თუმცა ამ ახალგაზრდებისგან არანაკლები მარაზმი გვესმის, ვიდრე გვესმოდა ძველებისგან. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ფორმას რამდენად შეიცვლიან, არსი იგივე რჩება.

– გაიყვანენ თადუმაძეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, გვეყოლება ახალი მთავარი პროკურორი?

– რა თქმა უნდა, გაიყვანენ, აბა, შემთხვევით ხომ არ აღმოჩნდა ამ სიაში. ასე იქნება და ეს სულაც არ არის მისი გადასაწყვეტი. რადგან ამ სიაში მოხვდა, გავა კიდეც, ეს ხომ ორჯერ ორი ოთხია. ეს კობახიძემაც დაადასტურა.

– კობახიძე ახსენეთ და მასაც უცვლიან თანამდებობასო.

– არც მას შეეკითხებიან. თუ საჭიროდ მიიჩნევს მამა და მარჩენალი, მასაც შეუცვლის თანამდებობას.

– რამდენად გამაღიზიანებელი ფიგურა გახდა დღეს კობახიძე? სჭირდება მისი ჩანაცვლება დღეს ივანიშვილს?

– ძალიან საინტერესო თემას მივადექით. ბიძინას ასეთი მიდგომა აქვს, რომ ნეგატივი რომ დაგროვდება, მერე ამ ნეგატივს აჰკიდებს ვიღაცას და გაუშვებს. ასე იყო ღარიბაშვილის შემთხვევაში, მთელი ნეგატივი მას აჰკიდა და გაუშვა თავის დროზე. ახლა სწორედ კობახიძე მესახება შესაფერის კანდიდატურად. მთელ ნეგატივს აჰკიდებს კობახიძეს და გაუშვებს, ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოში ბათუმში. პარლამენტის თავმჯდომარეობის მოვალეობას კი შეასრულებს მისი ერთ ერთი მოადგილე, მაგალითად, ჩუგოშვილი, რადგან ის უფრო მისაღები ფიგურაა დასავლეთისთვის.

ეს კლასიკური მიდგომაა. მე, პირადად, ეს მიდგომა ძალიან მომწონს, ჭკვიანური მიდგომაა. იკითხონ იმათ, ვისაც ეს ნეგატივი მიაქვს.

– ივანიშვილი ცდილობს, შიგნით გუნდში არავინ გააძლიეროს ზომაზე მეტად, ყველას თანაბარი დოზით ჰქონდეს ძალაუფლება?

– კი, რა თქმა უნდა. შიგნით ცდილობს ბალანსის დაცვას, რომ არავინ გაძლიერდეს. არც ზურაბიშვილში ხედავს საფრთხეს. საერთოდ ყოველთვის მარტო იქნება, გამომდინარე თავისი ხასიათიდან, მის გვერდით ვერანაირი პოლიტიკური ძალა ვერ დადგება ვერასოდეს. ამიტომაც ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნის პირადად ბატონ ბიძინას.

– კალაძეზე ამბობენ, რომ ცოტა მეტი პოპულარობა აქვს საზოგადოებაში, სხვებთან შედარებით.

– ჭავჭავაძის რეაბილიტაციის შემდეგ გავზომოთ მისი პოპულარობა. რომ გაიწელება ეს კატასტროფა, მერე ვნახოთ, მისი პოპულარობა როგორი იქნება.

– ამ სახელისუფლებო ცვლილებებს როდის ელოდებით, არჩევნების მოახლოებისას თუ უკვე?

– ზოგადად მარჩიელობა არ მიყვარს, მაგრამ, წესით, რაც მალე მოიშორებენ ამ ნეგატივს, მით უკეთესი, მათ შორის – კობახიძეს.

გია ცაგარეიშვილი: „უგულავა ჩვეულებრივი ჯიბგირი და ხაზინის ქურდია“

ევროქოცებისა და ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნება დაუშვებელია!

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი გიორგი ცაგარეიშვილი აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება. „ახალი თაობა“ **გიორგი ცაგარეიშვილს** ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდებით?

– დიახ, სავარაუდოდ, ასეა.

– რომელიმე თანამდებობაზე შეიძლება გიხილოთ?

– მე არ ვარ თანამდებობის მოყვარული ადამიანი.

– როგორ აფასებთ დღეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას?

– ვფიქრობ, თვალშისაცემია რევანშის სურვილი ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს მხრიდან. მათ არასოდეს ვასხვავებდი, არც ახლა ვასხვავებ, მაგრამ სხვადასხვა პარტიაში გაიფანტნენ და რევანშის დაუოკებელი სურვილი აქვთ, რომელიც ყველასა და ყველაფერს ფარავს.

– რეალური საფრთხე არსებობს?

– საფრთხე საკმაოდ რეალური მგონია. ისინი ყველანაირად ცდილობენ, სრულიად აპოკალიფსური სურათი დახატონ ქვეყანაში ყველა – სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური მიმართულებით. ამას უნდა წინააღმდეგობა, გამართული საღი აზრი, კარგად ჩამოყალიბებული პოზიცია.

– რევანშის შანსს ხედავთ?

– ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მათ ხელისუფლებაში მობრუნების შანსი არ აქვთ. საზოგადოებას მუდმივ შიშში ამყოფებენ, უნდობლობას თესავენ, მაგრამ ამღვრეულ წყალში თევზს თვითონ ვერ დაიჭერენ.

– როდესაც ევროპული საქართველოს მხრიდან რევანშის სურვილზე მიუთითებთ, რას გულისხმობთ, მათი მხრიდან რევანშის რა ნიშნებს ხედავთ?

– ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე რევანშის სურვილს გამოხატავენ. შეგიძლიათ, დააკვირდეთ მათ ქმედებებს, მათ სატელევიზიო ეთერებს, მათ ინტერვიუებს, საჯარო გამოსვლებს, გამონათქვამებს. ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ეს ადამიანები ცხვრის ქურქში გახვეული მგლები არიან. მათი გამოსწორება წარმოუდგენელია. ბოკერიამ ვითომდა მოინანია.

ჩვენს საზოგადოებაზე ძალიან მაღალი წარმოდგენის ვარ, მარტივი სატყუარათი თავს არავინ მოიტყუებს. ზოგადად, როცა რაიმეს ინანიებ, მონანიებამდე ამ ყველაფერს წინ უნდა უძღოდეს აღსარება. მათ დეტალურად უნდა აღწერონ, რაც მიქარული აქვთ. შემდეგ საზოგადოება გადაწყვეტს, მოინანიოს თუ არა. ასეა ნორმალურ საზოგადოებაში.

– ან დანაშაული გეპატიება თუ არა.

– დიახ, გეპატიება თუ არა ჩადენილი დანაშაული მორალურად და სამართლებრივად. შეიძლება, საზოგადოებამ გიგა ბოკერიას მორალურად რაღაც აპატიოს, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ნორმალურ, ცივილიზებულ საზოგადოებაში კანონს რომ გადახვალ, პასუხი უნდა მოგეთხოვოს. თქვენ ბოკერიასაგან სადმე მოგისმენიათ, მისი თანდასწრებით როგორ იგეგმებოდა 7 ნოემბრის აქციის დარბევა?

– არა, არ მომისმენია.

– 26 მაისის დარბევაზე, გელაშვილის ცემის, დავითაშვილის მოტაცების ფაქტებზე მოგისმენიათ?

– ბოკერია ამბობს, შეცდომები იყოო.

– არა, შეცდომა არ არის. ყველა ჩემ მიერ ჩამოთვლილი ფაქტი უმძიმესი დანაშაულია. უგულავა იმ ქალაქის მერი იყო, სადაც ათასი უბედურება ხდებოდა, სადაც ხალხს იტაცებდნენ, მიტინგებს არბევდნენ, ბიზნესებს ართმევდნენ, ქონების ტოტალური გადანაწილება ხდებოდა ნაცმოძრაობის ლიდერების სასარგებლოდ. რომელიმე ფაქტზე უსაუბრია? არადა, უგულავა ჩვეულებრივი ჯიბგირი და ხაზინის ქურდია, რომელმაც 49 მილიონი მოიპარა „ლიბერთი ბანკიდან“, ვითომ თბილისის განვითარების ფონდისთვის. შემდეგ ქეშად დაურიგეს თავიანთ აქტივისტებს. ჩემი, თქვენი და უამრავი გადამხდელისაგან აკრეფილი გადასახადებით მეუღლეები გააგზავნეს საშოპინგოდ უცხოეთში. უცხოეთში თვითონ უგულავაც დადიოდა, ვითომ ნაგვის მანქანების ჩამოსაყვანად ლას ვეგასში იყო. იქ რას აკეთებდა, ეს ამბებიც საყოველთაოდ გავრცელებულია.

– უგულავასთვის ბევრი არაფერი მიუსჯიათ, მაგრამ მან გარკვეული წლები ციხეში გაატარა.

– უგულავას ციხეში გატარებული დრო ზღვაში წვეთია. რაც მათ ეკუთვნით ჩადენილი დანაშაულებისთვის, უნდა ეზღოთ. არ ვარ მტარვალი და არც ის მიხარია, ადამიანი სადღაც საპატიმროში რომ არის გამოკეტილი, მაგრამ ჩადენილი დანაშაული სრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დადგენილ სასჯელთან. ჩვენს შემთხვევაში ეს არ მოხდა.

– ჩადენილი დანაშაულისთვის რომ მიეზღოთ, ვისი ბრალია?

– ეს ხელისუფლების ძალიან დიდი ნაკლია. სწორედ ამიტომ არის საზოგადოებაში უკმაყოფილება. ჩვენს ამომრჩეველს ვგულისხმობ, თორემ იმ ადამიანებზე არ ვსაუბრობ, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს ფეხქვეშ ედებიან. მგლის თავზე სახარების კითხვას ვერ დავიწყებ. ეს ხალხი უიმედოა. მე ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებმაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოიყვანეს. თუ არ ვცდები, მილიონ 200 ათასი ხმა ავიღეთ.

გარკვეულწილად, გავიმეორებ ღარიბაშვილის შეტყობინებას საზოგადოებისადმი, რომ ამ სახით კოალიციაცია ჩვენმა ამომრჩეველმა, საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა ძალიან დიდი ჩავარდნად და უკანდახევად აღიქვა.

– დეპუტატმა ბობოხიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, ჩვენ და „ოცნება“ ერთნაირები ვართ, ერთნაირი ძალებია, მედლის ორი მხარეაო.

– ამ ნარატივს დიდი ხანია ამკვიდრებენ საზოგადოებაში. ბობოხიძეს უარესები განუცხადებია. ეს არახალია. ამბობენ, ჩვენ ხომ ვართ ბნელები, წყალწაღებულები, მაგრამ თქვენც ასეთები ხარო. არასწორ შედარებებს ახდენენ, სხვა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ვარშავაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პარლამენტების სპიკერების სამიტი გაიმართა

ბექა გოგინაშვილი

5 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პარლამენტის სპიკერების სამიტი გაიმართა.

ეს ღონისძიება უკვე მეოთხედ ჩატარდა ვარშავაში, მაგრამ ამჯერად მას სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა – 1989 წლის 4 ივნისს პოლონეთში პირველად გაიმართა თავისუფალი არჩევნები და წლევანდელი სამიტის მთავარი თემა კომუნიზმის დაცემა და ევროპაში დემოკრატიის განვითარება იყო.

სამიტზე მიწვეული იყვნენ დისიდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც თავის დროზე ებრძოდნენ კომუნისტურ რეჟიმს და მათ საკუთარ თავზე იწვნიეს ამ სისტემის სისასტიკე. გარდა ამისა, პოლონეთის სეიმმა სხვადასხვა ქვეყნიდან ჟურნალისტები მიიწვია, რომლებსაც საშუალება მიეცათ, გაემართათ საინტერესო შეხვედრები სეიმის მარშალ მარეკ კუჰჩინსკისთან და სენატის მარშალ სტანისლავ კარჩევსკისთან.

მარეკ კუჰჩინსკიმ ბევრი ისაუბრა პოლონეთის ამჟამინდელ მდგომარეობაზე და თქვა, რომ პოლონეთში დემოკრატიული ფასეულობები ძალიან ძვირფასია, რადგან ეს ქვეყანა მხოლოდ დემოკრატიული გზით აპირებს მომავალში განვითარებას.

ამის გარდა, მან ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთი დგას რიგი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მან უნდა დაძლიოს.

სენატის მარშალმა სტანისლავ კარჩევსკიმ საქართველო ახსენა და თქვა, რომ პოლონეთი მუდამ მხარს დაუჭერს საქართველოს ნატოში გაერთიანებას და ზოგადად ეს ორი ქვეყანა ყოველთვის შეინარჩუნებს ახლო ურთიერთობას.

სამიტზე სიტყვით აღმოსავლეთ ევროპის პარლამენტის სპიკერები გამოვიდნენ, თუმცა უფრო მეტი დრო დისიდენტებს დაეთმოთ, რომლებმაც თავიანთი ხედვა წარმოაჩინეს კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ და საკუთარი ისტორიები გვიამბეს.

საქართველოდან რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი იყო წარდგენილი. მან დაწვრილებით ისაუბრა რუსეთის იმპერიალიზმზე და თქვა, რომ ეს ქვეყანა მუდამ ცდილობდა სხვა სახელმწიფოების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევას.

სამიტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და თითქმის ყველა იქ მყოფ დისიდენტს მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება. ჟურნალისტების მიმართ პოლონეთის მხარე ყურადღებას იჩენდა და მათ ყველა პირობა ჰქონდათ სამუშაოდ.

სამიტის დასრულების შემდეგ სტანისლავ კარჩევსკი და მარეკ კუჰჩინსკი სიტყვით გამოვიდნენ და იქ მყოფ საზოგადოებას მადლობა გადაუხადეს.

ევროსკეპტიკოსები კავკასიაში გააქტიურდნენ

იქონიებენ თუ არა პუტინის მომხრე ევროდეპუტატები გავლენას ევროკავშირის პოლიტიკაზე?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ოკუპირებული რეგიონები ახერხებენ კონტაქტების დამყარებას იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებსაც ოფიციალურად არ დაურღვევიათ არაღიარების პოლიტიკა. არც ისე იშვიათია ევროპელი ბიზნესმენებისა და სხვა წრეების წარმომადგენლების ჩასვლა აფხაზეთში თბილისთან შეუთანხმებლად.

მსოფლიოში სიტუაცია ისე დინამიკურად იცვლება, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსალოდნელია ასევე ევროპელი სკეპტიკოსი პოლიტიკოსების სტუმრობა.

რეგიონში დიდი ამბავია ატეხილი იმის გამო, რომ მთიან ყარაბაღში ჩავიდნენ პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წევრები. ეს პარტია ულტრამემარჯვენე და ევროსკეპტიციზმის მიმდევარია. გერმანიაში მას ნაცისტურსაც უწოდებენ. ამ პარტიამ მოახერხა რამდენიმე მანდატის მოპოვება ევროპარლამენტში. გერმანიის კონტრდაზვერვა იკვლევს „ალტერნატივის“ კავშირებს რუსეთთან. პარტიის დაფინანსება გაუმჭვირვალედ, შვეიცარიის გავლით ხდება.

ევროპაში ბევრს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ პარტიის უკან რუსეთი დგას. ალტერნატიველებს არაერთხელ დაუყენებიათ რუსეთისთვის სანქციების მოხსნის საკითხი.

მთიან ყარაბაღში გერმანელების ვიზიტს რუსი ექსპერტებიც ეხმაურებიან. ისინი ირწმუნებიან, რომ ეს პარტია რუსეთის მოწინააღმდეგეა – „ალტერნატივის“ 40%-ს ნეონაცისტები შეადგენენ. მათი მიზანია მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვა და აღმოსავლეთის ტერიტორიების დაბრუნება.

„ალტერნატივა გერმანიისათვის“ ღიად გამოდის ისლამის წინააღმდეგ, მოითხოვს დამნაშავეობის შემცირებასა და საგადასახადო რეფორმას, ევროზონიდან გამოსვლას. ამ ადამიანებისთვის ევროპის უსაფრთხოება წარმოუდგენელია რუსეთის გარეშე.

მთიან ყარაბაღში გერმანელი „ალტერნატიველების“ ჩასვლამ გააღიზიანა ბაქო. რუსი ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს ნაბიჯი მათთვისაც გაუგებარია.

წინა წლებში „ალტერნატივის“ დელეგაცია რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმსა და მოსკოვში დადიოდა. „ალტერნატივა“ მიესალმებოდა ყირიმის მიერთებას რუსეთთან.

ალბათ, გერმანელი ევროსკეპტიკოსები არც საქართველოს რეგიონების ოკუპაციას დაგმობენ. მთიანი ყარაბაღის საკითხში რუსეთი უფრო შუამავლობას ან განზე დგომას ცდილობს. მით უფრო გაუგებარია გერმანელი რადიკალების დაინტერესება ყარაბაღით.

ევროპარლამენტში ცოტა ხნის წინ ევროსკეპტიკოსებმა მთელი ევროკავშირის ქვეყნებიდან გამარჯვება ვერ მოიპოვეს. ითვლება, რომ დღევანდელ ევროპარლამენტში ევროოპტიმისტების პოზიცია შესუსტდა, ხოლო ევროსკეპტიკოსებისა გაძლიერდა. ანალიტიკოსები მოელიან, რომ რადიკალები და ევროსკეპტიკოსები მოახდენენ გარკვეულ გავლენას ევროკავშირზე, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხში.

საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის წევრი ქვეყანაა ორი ოკუპირებული ტერიტორიით. საქართველოს ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ რეაგირებს უკანონო ვიზიტებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რუსეთს ახლანდელ ევროპარლამენტში სხვა მეგობრებიც ჰყავს – ფრანგი მარინ ლე პენი, იტალიელი სილვიო ბერლუსკონი, მატეო სალვინი და მათი თანამოაზრეები. ლატვიიდან ევროპარლამენტში ორი რუსულენოვანი პარტია მოხვდა. ევროსკეპტიკოსებს მიეკუთვნება ასევე პოლონელი იაროსლავ კაჩინსკი და მისი პარტია, რომელიც ევროპარლამენტის საჭიროებას ვერ ხედავს.

ეს ყველაფერი მოასწავებს სიურპრიზებს ევროსკეპტიკოსების მხრიდან. რუსეთი მათ საქართველოს წინააღმდეგაც გამოიყენებს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოში გეიაღლუმი არასდროს ჩატარდება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, ლგბტ თემის წარმომადგენლები სტრასბურში ჩივილს აპირებენ, რადგან აცხადებენ, რომ ვერ მოახერხეს თავიანთი უფლებების რეალიზება 17 მაისს. დღეს გავრცელდა ევროსტრუქტურის წარმომადგენლის განცხადება, რომ მხოლოდ საქართველოა ის ქვეყანა, სადაც ვერ ხერხდება ამ ჯგუფის უფლებების რეალიზება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მადლობას გადავუხდი ჩემს მეგობრებს მედგარი წინააღმდეგობისთვის, რომელმაც განაპირობა სწორედ ეს განცხადება, რომელიც ევროკავშირიდან ვრცელდება, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ვერ ხერხდება გეიაღლუმების ჩატარება.

– ხომ შეიძლება, მომავალში ჩაატარონ?

– ვერ ჩაატარებენ. დარწმუნებული ვარ, 17 ივნისი და 23 ივნისი ასევე არ იქნება გამონაკლისი – ჩვენ შევძლებთ, დავიცვათ ჩვენი უპირობო, ხისტი, შეუვალი და პრინციპული დამოკიდებულება. უზნეობის პროპაგანდას საქართველოში ადგილი ვერ ექნება. ქვეყანა ფეხზე დადგება და არ დაუშვებს გეიაღლუმების ჩატარებას, როგორც ე.წ. თბილისი პრაიდისა და ე.წ. ღირსების მარშის ფარგლებში ჰპირდებიან.

ვისაც მსგავსი პერფორმანსების ჩატარება უნდა, წავიდეს იმ ქვეყნებში, სადაც ამის უფლებას იძლევიან. საქართველოს ხელისუფლებამ, პარლამენტის უმრავლესობამ, მთავრობამ, როგორც აღმასრულებელმა, ისე საკანონმდებლო შტოებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე უზნეობის აქტის (ნებისმიერი ფორმით – პერფორმანსი იქნება თუ გეიაღლუმი) ჩატარების უფლებას არ იძლევა. დამკვეთი და ხელისუფლების წყარო ვინ არის? სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი არ იძლევა ამ უფლებას.

– იმ ადამიანებს, ამ თემის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, აქვთ უფლება, ქუჩაში გამოვიდნენ, შეიკრიბონ და თავიანთი განსხვავებულობაც დააფიქსირონ. ამიტომ, რადგან ამის საშუალება არ ეძლევათ, მათი უფლებები ირღვევა. როგორც გავიგე, ევროსასამართლოში ჩივილსაც აპირებენ.

– სადაც უნდათ, იქ იჩივლონ. ფაქტი ერთია, შს სამინისტრო არ აძლევს მათ უფლებას, ჩაატარონ დაგეგმილი ღონისძიება 17-დან 23 ივნისამდე. შს სამინისტრო მოქმედებს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და სრულიად სამართლიანად ეუბნება უარს, ვინაიდან შეკრებისა და მანიფესტაციების, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ გახლავთ აბსოლუტური უფლება. ის, დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება იქნეს შეზღუდული.

– რას გულისხმობთ?

– თუ საზოგადოების დიდი ნაწილი წინააღმდეგია მსგავსი ღონისძიების ჩატარებისა, მით უმეტეს, თავის პოლიტიკურ დედაქალაქში, ეს მხედველობაში უნდა მიიღოს შს სამინისტრომ და ასეთ ე.წ. თემებს არ მისცეს აღლუმების ჩატარების უფლება. სინამდვილეში არავითარი ლგბტ თემი არ არსებობს.

თემი შეიძლება არსებობდეს თვითმმართველობის ორგანოებთან და არავითარ შემთხვევაში ისეთი დამოკიდებულების მატარებელ საზოგადოებებთან, რომლებიც პირდაპირ იყურებიან უცხო ქვეყნის გადასახადის გადამხდელების ჯიბეებიდან იმისთვის, რომ ქვეყანას თავს მოახვიონ ჯერ აქამდე არნახული და არარსებული პროპაგანდა მამათმავლობისა, რაც აღკვეთილი იქნება საზოგადოებრივი ძალების მხრიდან.

როგორც ჩანს, ამას შს სამინისტრო მხედველობაში იღებს. მათი დამოკიდებულება უნდა იცოდეთ. შს სამინისტროში ისეთივე მამული შვილები არიან, ისეთივე ქართველები (ისევე უყვართ სამშობლო), როგორც ჩვენ. ჩვენ არ ვიჩემებთ, რომ მაგარი ბიჭები ვართ და ვიღაც ჩვენზე ნაკლებია. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ეს ის თემაა, რომელშიც მთელი ქართველი საზოგადოებაა გაერთიანებული. ძალოვნები იქნებიან, პედაგოგები, მეცნიერები თუ სპორტსმენები, ყველას საერთო ფასეულობა გვაერთიანებს.

ფასეულობა – ეს არის ტრადიციების შენარჩუნება, იმ ღირებულებების მიმართ სწორი დამოკიდებულება, რომლებმაც დღემდე შემოგვინახა საქართველო. საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე. ეს პასუხს სცემს იმას, რომ მსგავსი ტიპის აქციები, რომლებიც არის უზნეობის ინსტალაცია, საქართველოში ვერ განხორციელდება. ამას არანაირი მომავალი არ აქვს.

– გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ ის და მისი უწყება ამ თემს ვერ მისცემს უსაფრთხოების გარანტიას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, თუ ისინი მაინც გამოვლენ ქუჩაში, შეიკრიბებიან და თავიანთი თავის დემონსტრირებას მოახდენენ, მათ რაიმე საშიშროება დაემუქრებათ?

– შს სამინისტროს განცხადება ზუსტად ისე უნდა გავიგოთ, როგორც კანონშია განმარტებული. როდესაც შს სამინისტრო აცხადებს, რომ ვერ დაიცავს ლგბტ თემის მარშის პირობას და ვერ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა შეეწინააღმდეგება პერფორმანსისა და გეიპრაიდის ჩატარებას. შს სამინისტრო გამოდის ქვეყნის უმრავლესობის ინტერესებიდან. ის, სამოქალაქო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ დაუშვებს მაპროვოცირებელი ხასიათის გეიაღლუმების ჩატარებას. ეს სრულიად კანონიერი განცხადებაა და არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა მოჰყვეს არავის მხრიდან. თუ ვინმე აპირებს სტრასბურში წასვლას, საქართველოში არსებობს სასამართლო ინსტანციები და შს სამინისტროს სასამართლოში აქ ეჭიდაოს. მაგათ არავითარი აქტივობის უფლებას არ მივცემთ არც დარბაზებში და არც ქუჩებში. ეს ძალიან კარგად უნდა იცოდნენ და გაიგონ.

– ევროსტრუქტურის წარმომადგენლის განცხადებას დავუბრუნდები. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებს შორის ერთადერთი ყოფილა საქართველო, სადაც ვერ ხერხდება ამ ჯგუფის უფლებების რეალიზება. ხომ არ შეგვექმნება პრობლემები ევროსტრუქტურებთან? ხშირად ასეთი საკითხების გამო ევროსტრუქტურებში გვსაყვედურობენ ხოლმე.

– თუ ევროსტრუქტურებთან ურთიერთობის ფასი ეშმაკისთვის გადახდილი ხარკია, ჩვენ ამ ხარკის გადახდაზე უარს ვამბობთ. შესაბამისად, თუკი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობა და შემდგომში ევროკავშირთან ურთიერთობის პირობა გულისხმობს იმას, რომ ქართველმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მამათმავლობა, ეს არის ნორმა და ის თავიანთ შვილებს უნდა გადასცენ, მაშინ სრულიად ქართველი საზოგადოება ასეთ ურთიერთობაზე ძირშივე უარს ვაცხადებთ.

– რომ გითხრან, მთლიანად ქართველი საზოგადოების სახელით განცხადებას რატომ აკეთებთო?

– რამდენი ადამიანი აკეთებს ამ განცხადებას, 17-დან 23 ივნისამდე პერიოდში განახებთ.

გია ცაგარეიშვილი: „უგულავა ჩვეულებრივი ჯიბგირი და ხაზინის ქურდია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

დასხვა მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებენ და მათ მიქარული დღევანდელ შეცდომებს ადარებენ, მე მაქვს კითხვები: „ქართული ოცნება“ მკვლელი ხელისუფლებაა? თქვენ ჟურნალისტი ხართ და მითხარით.

– მაგას მე ვერ ვიტყვი.

– ამ წლების განმავლობაში „ოცნება“ საპატიმროებში ასობით ადამიანს ხოცავდა? მიტინგებს არბევდა? არჩევნებს მასობრივად, ტოტალურად აყალბებდა? ქუჩაში სახალხო დამცველს სცემდა, როგორი კრიტიკულიც უნდა ყოფილიყო ის? 7 ნოემბერს ჩემ თვალწინ სოზარ სუბარი კინაღამ მოკლეს. „ოცნება“ დეპუტატებს იტაცებდა, ხეზე აბამდა? მანქანებს უწვავდა? არა. ზურაბ აბაშიძე ცემით კინაღამ მოკლეს, კობა დავითაშვილი დაახეიბრეს. ვალერი გელაშვილი დაახეიბრეს. გავაგრძელო ეს ჩამონათვალი? ადამიანები, რომლებიც ამას აკეთებდნენ, ახლა „ოცნებას“ ეუბნებიან, თქვენც ჩვენნაირები ხართო. მათი და „ოცნების“ ნამოქმედარი ერთმანეთს ვერ შეედრება.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში შეცდომებს უშვებდა და მომავალშიც შეიძლება დაუშვას. უშეცდომო დედამიწის ზურგზე არავინაა, მაგრამ ის არ ჩაიდენს დანაშაულს, რომელიც მას პირდაპირ დააპირისპირებს ქართველ საზოგადოებასთან. ამას „ქართული ოცნება“ არ გააკეთებს. „ოცნების“ გენეზისი დანაშაულებრივი არ არის.

ნაცმოძრაობის გენეზისი კი დანაშაულებრივია. რა პარტიაც უნდა შექმნან და რა სახელიც უნდა დაირქვან, არაფერი ეშველებათ. როდესაც ცინიკურად სახელს იცვლი და ამბობ, ჩემთვის მთავარი ევროპული ღირებულებებიაო, ეს არის დიდი ცინიზმი. საინტერესოა, რომელ ევროპაზე საუბრობენ? თანამედროვე ცივილიზებულ ევროპაში ისეთი რამეები არ ხდება, რაც მათ ჩაიდინეს.

– ეკონომიკური მდგომარეობა რადიკალურად რომ ვერ გამოსწორდა, ხელისუფლებას ამიტომ აკრიტიკებენ.

– ეს არის ამჟამინდელი ხელისუფლების, აქ მცხოვრები ადამიანების უდიდესი გამოწვევა. ხალხის დუხჭირი მდგომარეობიდან გამოყვანისთვის უამრავი რამ გაკეთდა და კიდევ გაკეთდება. უამრავი პროგრამა ხორციელდება, უფასო ჯანდაცვითა და „ც“ ჰეპატიტის პროგრამით დაწყებული.

– რა რეაქცია გქონდათ, როცა დაინახეთ, რომ თქვენი ყოფილი თანაპარტიელი შალვა შავგულიძე გიგი უგულავასთან ერთად შამპანურს ხსნიდა და ტორტს ჭრიდა?

– რა რეაქცია უნდა მქონოდა, თქვენ როგორ ფიქრობთ? ჩემთვის ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელი და მიუღებელი ამბავი იყო. მე ცოტა სხვანაირ შალვა შავგულიძეს ვიცნობდი. როცა შალვა ამ ადამიანების გვერდით დგას, შამპანურს ხსნის და ტორტს ჭრის, ვფიქრობ, ეს ის შალვა არ არის, მე რომ ვიცნობდი. ამას აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით.

წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ არა მარტო თანაპარტიელები ვიყავით, არამედ მეგობრობაც გვაკავშირებდა. მეგობრობა ეფუძნებოდა იმ საშინელ წლებს, როდესაც საზოგადოება უდიდეს წნეხს განიცდიდა, როდესაც შალვა გირგვლიანებისა და მოლაშვილების ოჯახების ადვოკატი იყო. შემდეგ უფრო დავახლოვდით, როდესაც ერთად შევქმენით პარტია და 2011 წელს „თავისუფალ დემოკრატებს“ შევუერთდით. იქ კიდევ უამრავმა რამემ დაგვაკავშირა, მათ შორის, საპარლამენტო საქმიანობამ. ამიტომ ჩემთვის წარმოუდგენელია ის, რაც ახლა ხდება.

– შალვა შავგულიძეს თავისი არგუმენტები აქვს და თავის გადაწყვეტილებას ამართლებს.

– მისი ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუმართლებელია. ევრონაცებთან პოლიტიკური კავშირი ბატონმა შალვამ როგორც უნდა შეფუთოს. ყველაზე გაუგებარი ის არის, რომ ამბობს, თურმე ბოკერია-უგულავას პარტიაში იმიტომ მიბრძანდა, რომ „ევროპულ საქართველოს“ ევროპული ღირებულებები აქვს. როგორ ესადაგება კაცის კვლა, ხაზინის ქურდობა და არჩევნების გაყალბება ევროპულ ღირებულებებს, ესეც გითხარით.

აბა, რა ევროპულ ღირებულებებზეა საუბარი? ბატონ შალვას რა ჭგონია? ეს ადამიანები ხელისუფლებაში რომ მოუშვა, იმავეს არ გააკეთებენ, რასაც მთელი ცხოვრება აკეთებდნენ? თუ ასე ჭგონია, რბილად რომ ვთქვათ, მიამიტობაა. ამიტომ მე ადამიანურად გული მწყდება. ჩემთვის ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა. ჩემი აზრით, შალვა შავგულიძეს წარმატების ბევრად მეტი შანსი ექნებოდა, „თავისუფალი დემოკრატების“ სახელით ან დამოუკიდებლად რომ გამოსულიყო. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ნაცხელისუფლება ყველაზე მეტად მთაწმინდელებს არბევდა, ატერორებდა და ციხეში ყრიდა. მთაწმინდელების თავზე გადაიარა მთელმა იმ უბედურებამ, რომელიც რუსთაველის გამზირზე ხდებოდა.

2018 წელს აუდიტის სამსახურმა 66 მლნ ლარის დარღვევა გამოავლინა

ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 66 მლნ ლარი შეადგინა, – ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშშია აღნიშნული.

ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 25 ფინანსური და 53 შესაბამისობის აუდიტი, რაც მთლიანი განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის 87%-ს შეადგენს. ამ აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 66 მლნ ლარი შეადგინა.

– აღნიშნული დარღვევები ძირითადად წარმოადგენს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებს და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს. აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების მიგნებები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია, – აღნიშნულია ანგარიშში.

უფრო კონკრეტულად, ანგარიშის მიხედვით, 21 მლნ ლარის დარღვევაა გამოვლენილი შესყიდვების მართვაში, რაც გულისხმობს შემდეგ დარღვევებს: მომწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჯარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შეუსრულებელი ან ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.

20,2 მლნ ლარის დარღვევა გამოვლინდა აქტივების მართვის მიმართულებით, სადაც მოიაზრება :იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; სახელმწიფო ქონების პრივატიზება საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.

24,4 მლნ ლარის დარღვევა კი საბიუჯეტო რესურსების მართვას უკავშირდება, სადაც იგულისხმება: გამოუყენებელი მარაგები; ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოუყენებლობა.

ცნობისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში პარლამენტს უკვე წარედგინა. დოკუმენტს თავდაპირველად პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი (საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი) განიხილავს, რის შემდეგაც ის განსახილველად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავა.

ყაზბეგში ვერტმფრენი ჩამოვარდა

3 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 6 ივნისს, ყაზბეგში ვერტმფრენი ჩამოვარდა. ავარიის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა.

ვერტმფრენი სასტუმრო „რუმსს“ ეკუთვნოდა. დაიღუპნენ ეკიპაჟის წევრები და მათთან ერთად მყოფი სასტუმრო „რუმს ჰოტელ ყაზბეგის“ ერთი თანამშრომელი.

კერძო ვერტმფრენის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 275-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

„დაბა სტეფანწმინდაში მდებარე სასტუმროს, „რუმს ჰოტელ ყაზბეგის“ კუთვნილი ვერტმფრენი „ყანების ტერიტორიაზე“, დაუსახლებელ ადგილზე ჩამოვარდა. შემთხვევის შედეგად ვერტმფრენში მყოფი სამივე ადამიანი: ეკიპაჟის წევრები და მათთან ერთად მყოფი სასტუმრო „რუმს ჰოტელ ყაზბეგის“ ერთი თანამშრომელი გარდაიცვალნენ.

გამოძიება საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“, – აღნიშნავენ უწყებაში.

ყაზბეგში მომხდარი ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ახალგაზრდა მამაკაცი, კოტე საცერაძე, გიდად მუშაობდა.

ის რუსთავში ცხოვრობდა.

მეზობლები ყვებიან, რომ კოტე საცერაძე უმეტეს დროს ყაზბეგში ატარებდა. ის უცხოელ ტურისტებს ემსახურებოდა. მეზობლები ამბობენ იმასაც, რომ, სავარაუდოდ, კოტე საცერაძეს ხშირად უწევდა იმ ვერტმფრენით მგზავრობა, რომელმაც კატასტროფა განიცადა.

– დარეკეს, რომ რაღაც მოხდაო. ჩვენ ხომ არ ვიცოდით. სადღაც 12 საათისკენ გავიგეთ მეზობლებმა, რომ აღარ იყო ეს ბავშვი. ჩემი ბავშვის მეგობარია. ჩემს ხელში გაზრდილია ეს ბავშვი. საუკეთესო ბავშვი, 27 წლის. დედა პედაგოგი ჰყავს, მამა ინჟინერი, კარგი ოჯახი, ძმა ექიმი ბიჭი. სამაგალითო ოჯახი. ჩვენი გული მაგან წაიღო, მაგ ბავშვმა, – განაცხადა დაღუპული გიდის მეზობელმა.

– ნაწილები გასცვივდა. პირველ შეჯახებაზევე დაიღუპნენ, – ასე იხსენებს თვითმხილველი „კურიერთან“ ყაზბეგში მომხდარი ავიაკატასტროფის დეტალებს.

მწყემსი შემთხვევის ერთადერთი მოწმეა. ის ამბობს, რომ დაინახა, როგორ დაეცა საფრენი აპარატი, შემდეგ კი ამობრუნდა.

მისი განცხადებით, როდესაც ვერტმფრენს მიუახლოვდა, ბორტზე მყოფი სამივე ადამიანი უკვე გარდაცვლილი იყო.

თვითმხილველი ყვება, რომ ვერტმფრენს ცეცხლი არ გასჩენია, დაიღვარა საწვავი, შენიშნეს კვამლი და ადგილზე სახანძრო სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ.

– პირველი შეჯახება დავინახე, სადაც მიცვალებულები არიან. იქ როგორ გაფრინდა, ვეღარ დავინახე. ნაწილები გასცვივდა. პირველ შეჯახებაზევე დაიღუპნენ, – განაცხადა თვითმხილველმა „კურიერთან“.

ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად ბორტზე მყოფი სამივე პირი დაიღუპა, მათ შორის ერთი პილოტი ილიკო ბაიდაშვილია. ასევე შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ პილოტის თანაშემწე – გიდი კოტე საცერაძე და სასტუმრო „რუმსის“ თანამშრომელი, შვეიცარი თორნიკე ოსიაშვილი.

მიხეილ კალანდიას მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილმა წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

კალანდიას ოჯახმა სასამართლოს ეზოში მტრედები გაუშვა

მიხეილ კალანდიას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ, 6 ივნისს, გამოაცხადა.

დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ბრალდებით დაკავებულის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა. მიხეილ კალანდიას პატიმრობის შუამდგომლობით სასამართლოს პროკურორმა მიმართა.

– ბრალდებულ მიხეილ კალანდიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს პატიმრობა. მიხეილ კალანდიას პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყოს დაკავების მომენტიდან. მიხეილ კალანდია მოთავსებულ იქნეს სპეციალურ პენიტენციარულ დაწესებულებაში, – განაცხადა მოსამართლემ ეკატერინე კულულაშვილმა.

სასამართლოს დასრულების შემდეგ მიხეილ კალანდიას ოჯახის წევრებმა სასამართლოს ეზოში მტრედები გაუშვეს. მათი თქმით, ეს ერთგვარი პერფორმანსია, რომელიც მიხეილ კალანდიასთვის პატიმრობის შეფარდებას მიეძღვნა.

ბრალდებულის ოჯახი თვლის, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს და მიხეილ კალანდიას მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა დღის წესრიგში არ უნდა დამდგარიყო.

– ჩვენ ბრალდებას არ ვეთანხმებით. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. მტკიცებულებები იგივეა, რაც აქამდე იყო, არასაკმარისი მისი დაკავებისთვის, – განაცხადა მიხეილ კალანდიას ძმამ ლუკა კალანდიამ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არც ბრალდებულის მამა.

თენგიზ კალანდია ამბობს, რომ ის ბრძოლას გააგრძელებს და გამოიყენებს ყველა კანონიერ გზას, რაც კი არსებობს.

სასამართლოს შენობაში იმყოფებოდა მიხეილ კალანდიას ბაბუა, ბორის კაკუბავა.

კაკუბავას მოკლული მოზარდის ოჯახის წევრები მოწმეებზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ.

– არავითარი ბრალდება არ არსებობს. მოწმეებზე ზეწოლა ტყუილი აღმოჩნდა ხომ ხედავთ? არავითარი ფაქტი არ არსებობს. არ ვიცი, რატომ დააკავეს. ალბათ ხელისუფლებამ იცის, მე რა ვიცი, ყველას ინტერესშია, ალბათ, ხელისუფლების, ოპოზიციის. მიზანი არის ამ ქვეყნის დამხობა, გადმოტრიალება, ეს არის მიზანი, – ამბობს კაკუბავა.

მიხეილ კალანდიას დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა ედება ბრალად. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს.

წინა სასამართლო სხდომა 11 ივლისს გაიმართება.

დაკარგული გოგონების მობილურები ლიმონათის მიტოვებულ საამქროში იპოვეს

ბორჯომში 2 მეცხრეკლასელს ეძებენ

გუშინ, 6 ივნისს, ბორჯომში 2 არასრულწლოვან გოგონას ეძებდნენ. ისინი მეცხრეკლასელები არიან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მოსწავლეები დილით სახლიდან გავიდნენ და სკოლაში არ მისულან.

ბორჯომის რესურსცენტრის ხელმძღვანელ იზოლდა ლომიძის ინფორმაციით, დაკარგული გოგონების მობილური ტელეფონები ბორჯომში, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ლიმონათის მიტოვებულ საამქროში იპოვეს.

– ყველა უკიდურესად შეშფოთებული ვართ, ამ დრომდე არაფერი ვიცით დაკარგული მოსწავლეების შესახებ. დილიდან არავის უნახავს, არც სკოლაში ყოფილან. განსაკუთრებული ხასიათით გამორჩეული ბავშვები არ არიან, ორივე ჩვეულებრივი, მათი ასაკისთვის დამახასიათებელი გოგონაა, ვერაფერს ვიტყვი ვერსიებზე, მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში ძებნა, იმედია, უახლოეს მომავალში დადგინდება მათი ადგილსამყოფელი, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ ბორჯომის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა იზოლდა ლომიძემ.

„პოლიციამ ბორჯომში 2 არასრულწლოვანის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია დღის მეორე ნახევარში მიიღო. სამართალდამცველები დაუყოვნებლივ ჩაერთნენ არასრულწლოვანების სამძებრო ღონისძიებებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით დაიწყო, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთს გულისხმობს. მიმდინარეობს საგამოძიებო-ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებები“, – აცხადებენ შსს-ს პრესსამსახურში.

ხონის საკრებულოში თანამშრომელს საფულე მოჰპარეს

ხონის საკრებულოში საკრებულოს თანამშრომელს საფულე მოჰპარეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „მეტრონომს“ განუცხადეს, შეტყობინება ერთი საფულის დაკარგვაზეა შესული.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

„საქართველოს ბანკისა“ და „თიბისის“ თანხების მისაკუთრებისთვის თურქეთის 2 და საქართველოს 1 მოქალაქე დააკავეს

თბილისში კიბერდანაშაულისთვის თურქეთის რესპუბლიკის 2 და საქართველოს 1 მოქალაქე დააკავეს.

ამის შესახებ გუშინ, 6 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

როგორც ჭელიძემ განაცხადა, აღნიშნული პირები სოციალურ ქსელ ფეისბუქზე რეკლამის სახით სისტემატურად ათავსებდნენ ვებგვერდებს, რომლებიც ვიზუალურად ჰგავდა „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ინტერნეტ-ბანკინგის ვებგვერდებს.

აღნიშნული ვებგვერდების მეშვეობით ხდებოდა ფეისბუქის მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის ინტერნეტმომსახურების შეთავაზება.

– კიბერდანაშაულთან ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის 2 და საქართველოს 1 მოქალაქე კიბერდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს. დაკავებულებს ბრალად ედებათ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენება, კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევა და ქურდობა.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – განაცხადა ჭელიძემ.

მისივე თქმით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, უკანონოდ ეუფლებოდნენ მოქალაქეთა საბანკო მონაცემებს და აღნიშნული მონაცემების გამოყენებით, მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ისაკუთრებდნენ.

– კერძოდ, აღნიშნული პირები სოციალურ ქსელ ფეისბუქზე რეკლამის სახით სისტემატურად ათავსებდნენ ვებგვერდებს, რომლებიც ვიზუალურად ჰგავდა „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ინტერნეტ-ბანკინგის ვებგვერდებს. აღნიშნული ვებგვერდების მეშვეობით ხდებოდა „ფეისბუქის“ მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის ინტერნეტმომსახურების შეთავაზება.

გარდა ამისა, მომხმარებლების მოზიდვის მიზნით, აღნიშნული ვებგვერდებიდან ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა ბანკი ათამაშებდა სხვადასხვა სახის ძვირადღირებულ პრიზებს.

შედეგად, რეალურ ინტერნეტბანკინგთან ვიზუალური მსგავსების გამო მოქალაქეები შეჰყავდათ შეცდომაში და მოტყუების გზით ეუფლებოდნენ მათ საბანკო მონაცემებს.

დაკავებული პირები თანხებს მათ მიერ სხვადასხვა ბანკისა და ინტერნეტტოტალიზატორების წინასწარ შექმნილ ანგარიშებზე რიცხავდნენ და მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდნენ.

აღნიშნული ქმედებით ამ პირებმა მოქალაქეებს 200.000 (ორასი ათასი) ლარამდე ფინანსური ზიანი მიაყენეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების საცხოვრებელ სახლში, დროებით საცხოვრებელ ბინასა და სასტუმროს ნომერში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 ლეპტოპი, 4 მობილური ტელეფონი, ერთი ცალი პერსონალური კომპიუტერი, რამდენიმე საბანკო პლასტიკური ბარათი და ფული. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 285-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, აქტიურად თანამშრომლობს საბანკო სექტორთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის პროცესში. სამინისტრო ინტენსიურად განაგრძობს ბრძოლას მსგავსი სახის დანაშაულის წინააღმდეგ, რათა ქვეყნის საბანკო სექტორი და მისი მომხმარებლები მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი, – განაცხადა ჭელიძემ.

„ღამით მამამისი მოვიდა და გამაუპატიურა“

ლაგოდეხში 16 წლის გოგონას მოძალადის 14 წლის შვილზე დანიშვნა შესთავაზეს

ლაგოდეხის პოლიციამ სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დაიწყო გამოძიება 16 წლის გოგოს მიერ ბავშვის გაჩენის ფაქტზე.

გოგო ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. გაკვეთილზე შეუძლოდ გახდა, რის გამოც სკოლაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გოგო ორსულად იყო და იმავე დღეს ბავშვი გააჩინა.

სკოლის დირექტორის თქმით, გოგოს ორსულობის შესახებ არაფერი იცოდა არც მან, არც მასწავლებლებმა.

გოგო ამბობს, რომ გასული წლის სექტემბერში მის მეზობლად მცხოვრებმა და ოჯახის ნათესავმა 40 წლის მამაკაცმა გააუპატიურა.

– მისი შვილი ჩემი მეგობარი და თანაკლასელია. მასთან ვიყავი ღამით, დედა სახლში არაა და ჩემთან დარჩიო, მთხოვა. ჩვენ ახლო მეზობლებიც ვართ. ჩემმა მეგობარმა და მისმა პატარა ძმამ ერთ ოთახში დაიძინეს, მე კი – მეორე ოთახში. ღამით მამამისი მოვიდა, პირზე ხელი დამაფარა, დამიჭირა და გამაუპატიურა, მერე დამემუქრა, რომ მომხდარის შესახებ არავისთან არაფერი მეთქვა, თორემ ჩემი ოჯახის წევრებს, მშობლებსა და პატარა ძმას მომიკლავდა. შემეშინდა და არავის ვუთხარი. ვიდრე ბავშვი არ გავაჩინე, არ ვიცოდი, რომ ორსულად ვიყავი. არც მუცელი მეტყობოდა. როცა მკითხეს, ვისგან ვიყავი ორსულად, მშობლებსაც ვუთხარი და პოლიციასაც, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დაუჭერიათ, – ამბობს გოგონა.

არასრულწლოვანი დაზარალებულად ცნობილი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტროში „რეგინფოს“ განუცხადეს, რომ საგამოძიებო მოქმედებები ტარდება ბავშვის მამის დასადგენად და მას შემდეგ, რაც ბავშვის მამის ვინაობა დადგინდება, მიღებული იქნება გადაწყვეტილება.

მშობიარობის შემდეგ გოგო ნათესავებმა სავარაუდო მოძალადეს გაარიდეს და მშობლების სახლიდან თავისთან წაიყვანეს, ჩვილი კი საავადმყოფოში დატოვეს.

გაუპატიურებაში მხილებული მამაკაცი ბრალდებას უარყოფს. მისი თქმით, ნათესავ ბავშვთან არავითარი სექსუალური კავშირი არ ჰქონია და არ იცის, გოგო გაუპატიურებას მას რატომ აბრალებს.

გოგოსა და მისი ოჯახის წევრების თქმით, მომხდარის გახმაურების შემდეგ არასრულწლოვან გოგოს გაუპატიურებაში დადანაშაულებული მამაკაცის 14 წლის შვილზე დანიშვნა შესთავაზეს იმ დათქმით, რომ ბიჭი 16 წლის რომ გახდება, გოგოს ცოლად მერე მოიყვანს.

გოგონას ოჯახი და ახლობლები სამართალდამცავებისგან სავარაუდო მოძალადის დასჯას ითხოვენ და შიშობენ, რომ ის შესაძლოა მიიმალოს. გოგოსა და მის მშობლებს გუშინ საღამოს უკვე შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ადვოკატი ლია ხუროშვილი, რომელიც მსხვერპლის ინტერესებს დაიცავს.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი გულისხმობს სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევას დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

რეგინფო

ლუკაშენკო: „თუ რუსეთი ჩვენს ანექსიას შეეცდება, ნახავს, რას ნიშნავს ბელორუსი პარტიზანები“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთ- ბელორუსის ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ისტორიული კანონზომიერებაა.

– თავის დროზე ჩატარდა რეფერენდუმი. ხალხმაც ამას მხარი დაუჭირა, – ამბობს ლავროვი.

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ პასუხად განაცხადა, რომ ბელორუსი რუსეთის უახლოესი მოკავშირეა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ, რელიგიურ თუ იდეოლოგიურ სფეროში. რაც შეეხება ორი სახელმწიფოს გაერთიანებას, ეს გამორიცხულია. ბელორუსი რუსეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოსთან.

– თუ რუსეთი ჩვენს ანექსიას შეეცდება, ის საკუთარ ტყავზე შეიგრძნობს, რას ნიშნავს ბელორუსი პარტიზანები, – განაცხადა ლუკაშენკომ.

დონბასში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის წარმომადგენელი გრიზლოვი და უკრაინული დელეგაციის ახალი ხელმძღვანელი ლეონიდ კუჩმა.

მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. მას 18 ივნისს მოეწერება ხელი.

შეთანხმებით გათვალისწინებულია მხარეთა დაშორიშორება.

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ნორმანდიულ ფორმატში შეხვედრას წინ უსწრებს. როგორც ცნობილია, ერთმანეთს უნდა შეხვდნენ უკრაინის ახალი პრეზიდენტი ზელენსკი, გერმანიის კანცლერი მერკელი, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი და საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი.

ბევრი ექსპერტი თვლის, რომ მშვიდობა დონბასში ვერ დამყარდება.

– პუტინი იტყვის, ყირიმი დაივიწყეთო. რაც შეეხება დონბასს, წაიღეთ, ოღონდ მხოლოდ ერთი პირობით: მიეცით ამ რეგიონს ავტონომია, – განაცხადა დიმიტრი გორდონმა.

ექსპერტის აზრით, დონბასის ავტონომია უკრაინის ფედერალიზაციას ნიშნავს, რაც პუტინის სქემაში ზის.

– ამ გეგმის მიღება ვერ მოხდება! დონბასის პრობლემაც ვერ მოგვარდება! – აცხადებს გორდონი.

ცხრა წლის გოგონა მე-18 სართულიდან ჩამოვარდნილ ლიფტში ცოცხალი გადარჩა

ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ შენჩჟენში ცხრა წლის გოგონამ 18 სართული ჩაწყვეტილ ლიფტის კაბინასთან ერთად იფრინა და ცოცხალი გადარჩა. ამ შემთხვევის ამსახველი სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი მაისის ბოლო დღეებში მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ადის ლიფტის კაბინა, რომელშიც ორი ბავშვი იმყოფება, მე-19 სართულზე და იქიდან ბიჭი გამოდის. როდესაც კარი დაიხურა, სისტემა გაითიშა და დისპლეიმ მუშაობა შეწყვიტა. ლიფტი ქვევით გაქანდა, ხოლო პანიკაში ჩავარდნილი გოგონა ყველა ღილაკს აჭერდა თითებს.

საბოლოოდ ლიფტის კაბინა პირველ სართულზე გაჩერდა და ბავშვი გადარჩა. გოგონამ მხოლოდ ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო და ატირდა.

მოშინაურებულმა ვირთხებმა გოგონას სასიკვდილო დაავადება შეჰყარეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მენიფიში მოშინაურებულმა ვირთხებმა რვა წლის გოგონა სასიკვდილო დაავადებით დაასნებოვნეს.

ვირთხები, სახელად შელი და ონიქსი, ბავშვთან ორი წელი ცხოვრობდნენ. მართალია, ისინი არ იკბინებოდნენ, მაგრამ მათ ნერწყვსა და შარდში არსებული დაავადების ბაქტერიები ნაკაწრის საშუალებით მაინც აღმოჩნდა გოგონას ორგანიზმში. შედეგად მას ე.წ. ვირთხის ნაკბენის ციებ-ცხელება შეეყარა.

ბავშვს კანზე გამოაყარა, ტემპერატურა 40 გრადუსამდე აეწია, ხოლო სახსრებში ძლიერ ტკივილებს გრძნობდა. გოგონა საავადმყოფოში მოათავსეს. ერთ კვირაში მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ შემთხვევის შემდეგ ოჯახმა მღრღნელების თავიდან მოშორება გადაწყვიტა და მათთვის ახალ პატრონებს ეძებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დანიას ისევ ქალი პრემიერი ეყოლება

დანიაში საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა.

ლიდერობს ბლოკი, რომელშიც შედიან სოციალ-დემოკრატები, სოციალ- ლიბერალები და სახალხო-სოციალისტური პარტია. მათ მწვანეთა ალიანსთან და ალტერნატივასთან ერთად ხმების 50% მოიპოვეს.

აღსანიშნავია მემარჯვენე თუ მემარცხენე ულტრარადიკალების მარცხი. მათ მიიღეს ნაკლები ხმა, ვიდრე წინა არჩევნებზე.

დანიის ახალი პრემიერი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, ქალბატონი ფრედერიქსენი გახდება. ის იქნება ქვეყნის ისტორიაში მეორე ქალი, რომელიც პრემიერის პოსტს დაიკავებს.

ჩინეთის ლიდერი მოსკოვში ჩავიდა



მოსკოვში ჩინეთის ლიდერი სი ცზენპინი ჩავიდა. ის ვლადიმერ პუტინმა მიიღო.

მოლაპარაკების ძირითად თემა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების შემდგომი განმტკიცება იყო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სავაჭრო ურთიერთობები გაღრმავდება და ანგარიშსწორებისას არა დოლარს, არამედ რუსულ და ჩინურ ვალუტას გამოიყენებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ვლადიმირ ვაისი: „გულშემატკივრებს ეს მატჩი უნდა დავამახსოვროთ“

დღეს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩი საქართველოსა და გიბრალტარის ნაკრებების შორის 20:00 საათზე „დინამო არენაზე“ გაიმართება.

მატჩამდე ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა და ჟულიო სეზარ რიბასმა პრესკონფერენცია გამართეს.

ვლადიმირ ვაისი:

– გიბრალტართან აუცილებლად უნდა მოვიგოთ. შემტევი, გახსნილი თამაში უნდა ვითამაშოთ და ღია თამაში უნდა ვაჩვენოთ. ვეცდებით, გულშემატკივრისთვის დასამახსოვრებელი მატჩი იყოს. გიბრალტარმა სომხეთთან ნამდვილად სიურპრიზი შემოგვთავაზა. ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, ვნახეთ და შევისწავლეთ. გიბრალტართან მხოლოდ ოპტიმალურ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები ითამაშებენ. სხვადასხვა სახის პრობლემა აქვთ საბა კვირკველიას, დავით ხოჭოლავას და გიორგი პაპუნაშვილს. ლევან მჭედლიძემ ერთი ვარჯიში გამოტოვა და არაა გამორიცხული 15-20 წუთი მიეცეს. სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთის სათამაშოდ ცუდი დროა. მოედანზე მხოლოდ ის მოთამაშეები გავლენ, ვისაც ფაქტობრივად 100-პროცენტიანი სათამაშო პრაქტიკა გააჩნიათ. გვაქვს მონახაზი, ვინც დანიასთან უნდა ითამაშოს. ასე რომ, ისინი გადანაწილებული არიან ამ 2 მატჩში...

სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო გიორგი ქვილითაია ვერ დაგვეხმარება. სავარაუდოდ, ტრავმის გამო რამდენიმე კვირა ვერ ითამაშებს.

ხვიჩა კვარაცხელია იმისთვის გამოვიძახე, რომ ითამაშოს. მისი სათამაშო სტილი ჩაკვეტაძეს წააგავს. მის დებიუტთან დაკავშირებით დიდი მოლოდინი მაქვს. დიდი ნახტომი ჰქონდა, როდესაც რუსთავიდან მოსკოვის ლოკომოტივში გადავიდა. მისი მომავალი კარიერა ბევრ რამეზეა დამოკიდებული – კლუბზე, თანაგუნდელებზე, მშობლებზე, მწვრთნელზე...

გია გრიგალავას რუსეთში შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, თითქმის ყველა მატჩში ითამაშა. მის პოზიციაზე ბევრი ფეხბურთელი გვყავდა. ის ცაციაა, ამიტომ მისი პირველი პასი ძალიან დაგვჭირდება. დიდი შანსია, ხვალ ძირითად შემადგენლობაში იყოს.

ლუკა ზარანდია სიმბოლურ გუნდში მოხვდა? დრიბლინგის სიმბოლურ გუნდში? ლუკა ტალანტი და ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმცა ამ ეტაპზე მე ამ პოზიციაზე გამოვიძახე ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი ხარაიშვილი. ამავე პოზიციაზე სხვადასხვა ფეხბურთელი გვყავს – გიორგი პაპუნაშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი მერებაშვილი. ლუკამ უნდა იმუშაოს და თავის შანსს დაელოდოს. არ ვიცნობ მწვრთნელს, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელს ნაკრებში არ იძახებდეს, თუ წარმატებით გააგრძელებს ასპარეზობას, ნაკრებშიც აუცილებლად მიიღებს შანსს. ფეხბურთს კომპლექსურად უნდა შევხედოთ, ფეხბურთი მარტო ერთი კომპონენტი არ არის. ამ შემთხვევაში მხოლოდ დრიბლინგით არ განისაზღვრება ფეხბურთი.

ელგუჯა ლობჟანიძე საქართველოს ნაკრებში მეორედ არის. რა ტაქტიკითაც ვაპირებთ გიბრალტარის წინააღმდეგ თამაშს, იმ კატეგორიის ფეხბურთელია. კარგად იხსნება, კარგად თამაშობს თავით.

ვაკო ყაზაიშვილის არგამოძახების მიზეზი სხვა ფეხბურთელებისთვის შანსის მიცემაა. ვაკომ უნდა მოუსმინოს მწვრთნელს, იმუშაოს გუნდთან ერთად. საჭიროა უფრო მაღალი ხარისხი, მეტი დისციპლინა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სხვა მატჩებში არ იქნება.

ვაისთან ერთად პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ნიკა კვეკვესკირი**:

– ყველასთვის სასიამოვნო იყო ერთა ლიგა, რადგან გულშემატკივარი სტადიონზე დავაბრუნეთ. მეტი პოზიტივი გაჩნდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ნაკრები მხოლოდ ფეხბურთელები არ არიან და ამ წარმატებაში გულშემატკივრის წვლილი დიდია. ფეხბურთელები ვითავისებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც ჩვენ გვაკისრია. ვიცით, რომ ცუდად დავიწყეთ, მაგრამ, სულ რომ არ იყოს შანსი ჯგუფიდან გასვლის, ნებისმიერ თამაშში მოსაგებად გავდივართ. ეს ეროვნული ნაკრებია და შეუძლებელია, უმოტივაციოდ გამოხვიდე. ისე ჩანს, თითქოს ერთა ლიგაზე უფრო მარტივია თამაში, მაგრამ იქაც რთული მეტოქეები გვყავს და იმ 3 ნაკრებისთვისაც ისეთივე უნიკალური შანსია, როგორც ჩვენთვის. მგონია, რომ ჩვენს გუნდს აქვს შანსი, გულშემატკივარი გაახაროს, ერთხელ და სამუდამოდ ავისრულოთ ოცნება და დიდ ფორუმზე ვითამაშოთ. რაც შეეხება ხვიჩა კვარაცხელიას, ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელები მოდიან და ის გიორგი ჩაკვეტაძის მსგავსად,

არა მარტო კარგი ფეხბურთელი, არამედ კარგი ადამიანიცაა.

ჟულიო სეზარ რიბასი:

– ჩვენი მთავარი მიზანია, გუნდმა კარგად ითამაშოს. ჩვენი წარმოდგენა თქვენს გუნდზე ისეთივე მდიდარია, როგორიც თქვენი ჩვენზე. ძალიან მომწონს საქართველოს ნაკრები, ძლიერი გუნდია. მათი რამდენიმე მატჩი მაქვს ნანახი და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მე არ მიყვარს ფავორიტებზე საუბარი. ძალიან მომწონს ირლანდიის, დანიის, შვეიცარიისა და საქართველოს გუნდები. საქართველოს ნაკრებიდან ვინმეს გამოყოფა არ მსურს. ამ გუნდში ყველა პოზიციაზე ძლიერი მოთამაშეები თამაშობენ. ჩვენს ტაქტიკაზე კი მატჩამდე საუბარი არ მსურს, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

პსჟ ბუფონის ნაცვლად ნავასს იწვევს

ჯანლუიჯი ბუფონმა პარი სენ ჟერმენი დატოვა და ახლა ის არის საინტერესო, სად გაგრძელდება ლეგენდარული მეკარის კარიერა. ჯიჯიმ დაადასტურა, რომ იტალიის ფარგლებს გარეთ თამაშს არ აპირებს, ხოლო მისმა აგენტმა სილვანო მარტინამ გაავრცელა ცნობა, რომ ბუფონი ფეხბურთში რჩება.

პსჟ-მ კი ბუფონის შემცვლელს უკვე მიაგნო. ესპანური მედიის ცნობით, პარიზული კლუბი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს მადრიდის რეალის მეკარე კეილორ ნავასთან და შეთანხმება ფეხბურთელთან უკვე მიღწეულია.

32 წლის კოსტარიკელმა რამდენიმე დღის წინ შეიტყო, რომ იგი სამეფო კლუბის გეგმებში აღარ ზის. პსჟ გამოცდილ ფეხბურთელებს ეძებს და ნავასი მისთვის მისწრება უნდა იყოს.

ნავასს პსჟ-ს აღზრდილ ალფონს არეოლასთან მოუწევს კონკურენცია. 26 წლის ალფონსმა განვლილ სეზონში 31 მატჩი ჩაატარა და 27 გოლი გაუშვა, ხოლო ბუფონის ბადე 25 მატჩში 25-ჯერ შეირხა. ნავასი დარწმუნებულია, რომ არეოლასთან კონკურენციის პირობებში იგი დიდ სათამაშო დროს მიიღებს და 5-მილიონიან ხელფასს შეინარჩუნებს. სწორედ ამდენს იღებს იგი მადრიდში.

პსჟ-სა და რეალს შორის სატრანსფერო ფლირტი, შესაძლოა, ამით არ ამოიწუროს. მადრიდში კილიან მბაპესა და ნეიმარის მიმართ ფარული ინტერესები აქვთ.

ვიტ ჯორჯიას ფეხბურთელებს ფეხბურთში საქმიანობა აეკრძალათ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის სხდომა შედგა. სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი, ამიტომაც რამდენიმე საათს გაგრძელდა.

პირველ რიგში კომიტეტმა მოისმინა მატჩის შედეგსა და მსვლელობაზე მანიპულირებაში ბრალდებული ფეხბურთელების საკითხი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

თბილისის ვიტ ჯორჯიას 5 ფეხბურთელს – გიორგი გეთიაშვილს, ჯონი შეროზიას, ნიკოლოზ მაისურაძეს, ნოდარ კიკნაველიძესა და პაატა ღუდუშაურს სამუდამოდ აეკრძალათ საფეხბურთო საქმიანობა, ხოლო თავად კლუბს დააკლდა 6 ქულა და დაჯარიმდა 50.000 ლარით.

კომიტეტმა ასევე იმსჯელა ლანჩხუთის გურიას 2 ფეხბურთელის – რობერტ იმერლიშვილისა და ირაკლი ბაჯელიძის, ასევე ჭიათურის ფეხბურთელის – ირაკლი ხუჭუას საკითხზე და დაადგინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დროებით აეკრძალოთ საფეხბურთო მატჩებში მონაწილეობა.

ქალთა საფეხბურთო ჩემპიონატში ჩხოროწყუს სამეგრელოსა და ხობის კოლხეთის მატჩის დასრულებისას მომხდარი ინციდენტის გამო ორივე კლუბი დაჯარიმდა 200-200 ლარით. კოლხეთის ფეხბურთელი ლანა ჯიქია და ჩხოროწყუს სამეგრელოს წევრი ანა გაბედავა დისკვალიფიცირებულნი არიან 3-3 მატჩით.

ეროვნული ლიგის მე-15 ტურში ბოლნისის სიონსა და რუსთავს შორის მომხდარი ინციდენტის დროს გაძევებული 4 ფეხბურთელი – დავით თარგამაძე, ვილი ისიანი, ლუკა გადრანი და ლაშა ქოჩლაძე 4-4 მატჩს გამოტოვებენ და თითოეულ ჯარიმის სახით 1.000 ლარს გადაიხდის, ისევე, როგორც ინციდენტის კიდევ ერთი მონაწილე ლევან ხმალაძე, რომელიც ასევე 4 მატჩში ვერ დაეხმარება სიონს.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ევროპისკენ მსოფლიოს გავლით მიიწევს



თბილისის სპორტის სასახლეში ხვალ დაიწყება და 16 ივნისს დამთავრდება მსოფლიო ერთა ჩემპიონატი, რომელშიც მსოფლიოს 12 სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული გუნდი მონაწილეობს. მათგან 6 გუნდი ევროპიდანაა, რომელთათვის ჩემპიონატს დამატებითი მნიშვნელობა აქვს – საუკეთესო ადგილზე გასული ევროპული გუნდი ევრო 2022-ის შესარჩევი შეჯიბრების ფლეი ოფის ეტაპზე ითამაშებს.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გამართა და ნაკრები წარადგინა.

ზურაბ კაკაბაძე, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ერთა ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. ჩვენთვის მასში მონაწილეობა და წარმატება განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს. დღეს ქართული ხელბურთი სერიოზული გარღვევის ზღვარზე იმყოფება. ამიტომაც, შედეგს და გულშემატკივრის მოზიდვას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მოგეხსენებათ, ჩვენთვის, როგორც ევროპის ფედერაციის წევრი ნაკრებისთვის ერთა ჩემპიონატი შესარჩევი ტურნირიც არის და აქ წარმატება ჩვენს ქვეყანაში ხელბურთის განვითარებას ძალიან სჭირდება. აგრეთვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს კაცთა ნაკრებისთვის 2019 წელს ეს შეჯიბრება ბოლო არ არის. შემოდგომაზე ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაციაში მოგვიწევს ჩაბმა.

ნიკოლა მაქსიმოვიჩი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– 3 დღეა საქართველოში ვარ და გუნდი შეკრებაზე მყავს. უნდა აღვნიშნო, რომ ხელბურთელებთან კონტაქტი ადვილად დავამყარე. კმაყოფილი ვარ ბიჭების განწყობით და საქმისადმი დამოკიდებულებით. შეჯიბრებამდე კიდევ გვაქვს რამდენიმე დღე და ამ დღეებში მთელ რიგ დეტალებს გავივლით. მოწინააღმდეგე გუნდებს ვიცნობთ და თითოეულ მათგანს სერიოზულად ვეკიდებით. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება პირველ შეხვედრას ნიგერიის ნაკრებთან. აგრეთვე დიდი იმედი გვაქვს გულშემატკივრის. სპორტის სასახლეში ტრიბუნების მხარდაჭერა გვჭირდება.

შოთა თევზაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

– 19 წლიდან ნაკრებში ვარ და ყოველთვის, როდესაც ეროვნულ გუნდში სათამაშოდ მოვემგზავრები, გული განსაკუთრებული გრძნობით მევსება. აქ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ერთა ჩემპიონატს ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ თამაშსაც. ახლა მთავარია დარჩენილ დღეებში არავინ დაშავდეს. ძალიან გვეიმედება გულშემატკივრის.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მოთამაშეებს შეხვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი:

– მნიშვნელოვანია, რომ ქართველ გულშემატკივარს გული დარბაზისკენ მოუტრიალდეს. ეს თქვენ უნდა უბიძგოთ მათ გულმხურვალე ქომაგობისკენ. ხელბურთი ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა, რომელსაც საქართველოში ბრწყინვალედ თამაშობდნენ. მარტო ჯემალ ცერცვაძის გახსენება რად ღირს. შეუძლებელი იყო მისი თამაშის სანახავად არ წასულიყავი. ახლა მე მინდა გკითხოთ, განა თქვენ ვინმე რამეთი გჯობიათ? არა, რასაკვირველია. ამიტომ, გამარჯვებისთვის საჭირო ძალები თქვენს თავში უნდა მოძებნოთ. გარეშე ფაქტორებზე ფიქრი საჭირო არ არის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი 8 ივნისს აქვს ნიგერიასთან. ჩვენი გუნდი ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩს 18 საათზე გამართავს.

ვერის ბაღში ბასკონიის კემპი მიმდინარეობს

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ბასკონიის საკალათბურთო კემპი მიმდინარეობს, რომელიც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ესპანურ კორპორაცია სასკი ბასკონიის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული კემპი 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და წლეულს იგი მეხუთედ იმართება.

კემპის ჩასატარებლად საქართველოში წელს 3 ბასკონიელი სპეციალისტია ჩამოსული, რომლებსაც ქართველი მწვრთნელები ეხმარებიან. ესპანელ სპეციალისტებს ასისტენტობას გაუწევენ მამუკა ტურაშვილი, ირაკლი მაისურაძე, გიორგი რაზმაძე და ირაკლი ჯანხოთელი.

საქართველოში გამართული კემპიდან 16 ახალგაზრდა ესპანეთში, ბასკონიის გენერალურ კემპზე გაეგზავრება. ესპანეთში საბოლოოდ გადაწყდება, თუ რომელ მათგანს დაიტოვებენ ესპანელი სპეციალისტები.

წლევანდელი კემპის მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 100 კალათბურთელია და მათი ასაკი 2004, 2005, 2006 და 2007 წლებში დაბადებულებით განისაზღვრება. კემპის მიზანი საუკეთესო, ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელების გამოვლენა და მათზე სამომავლო ზრუნვაა.

ახალგაზრდა მოთამაშეები დაყოფილნი არიან ასაკობრივ ჯგუფებად, მთელი დღის განმავლობაში დადგენილი გრაფიკით ვარჯიშობენ და ესპანელების მიერ დეტალურ შემოწმებას გადიან.

კემპის მონაწილეებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და სასკი ბასკონიის ხელმძღვანელები ესტუმრნენ და მასმედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. ახალგაზრდა კალათბურთელებს კემპის სამონაწილეო სერტიფიკატები გადასცეს ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა და სასკი ბასკონიის გენერალურმა დირექტორმა ხესუს ვასკესმა.

ბასკონია ხელშეკრულების საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს ანალოგიურ კემპებს და რჩეულ მოთამაშეებს თავის გამოსაჩენად ესპანეთში, ბასკონიის გენერალურ, ინტერნაციონალურ კემპზე იწვევს, რომელიც ზაფხულში იმართება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

რონალდუს ვერ აჩერებენ, პორტუგალია ერთა თასის ფინალშია

პოლტუგალია-შვეიცარია 3:1

პორტუ. დრაგაო

1:0 რონალდუ (25), 1:1 როდრიგესი (57პ), 2:1, 3:1 რონალდუ (88, 90)

პორტუგალია: რუი პატრისიუ, პეპე (ფონტე 63), გერეირუ, სემედუ, დიაში, ნეველი, კარვალიო, ბერნარდუ სილვა, ბრუნო ფერნანდეში (მოუტინიო 90), ფელიში (გედეში 71), რონალდო

შვეიცარია: ზომერი, შერი, როდრიგესი, მბაბუ, აკანჯი, ჯაკა, ფროილერი (დრმიჩი 89), ცუბერი (შტეფენი 83), ზაკარია (ედმილსონ ფერნანდეში 72), შაქირი, სეფეროვიჩი

ერთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის მთავარი მომენტი კრიშტიანუ რონალდუს ჰეთ ტრიკია. თუმცა, არც შეხვედრის მთავარი არბიტრის, ფელიქს ბრიხის მოქმედება უნდა გამოგვრჩეს.

პორტუგალიის ნაკრების ლიდერმა ყველაფერი გააკეთა, რომ მისი გუნდი ფინალში გაეყვანა. კრიშტიანუმ 25-ე წუთზე შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო მატჩის მიწურულს, როდესაც შვეიცარიელებს გათანაბრებული ჰქონდათ, კიდევ 2 ლამაზი გოლი გაიტანა და ერთა თასის ფინალური ეტაპის მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა.

კრიშტიანუ 34 წლის ასაკშიც კი ეროვნული გუნდის უდავო ლიდერია და შანსი აქვს პორტუგალიის ნაკრებს კიდევ ერთი ტიტული მოუტანოს. 9 ივნისს, პირნეელები ერთა ლიგის ფინალში ითამაშებენ, მეტოქე კი ჰოლანდია-ინგლისის შეხვედრაში გაირკვევა.

დავუბრუნდეთ ნახევარფინალს და აუცილებლად უნდა ვთქვათ შვეიცარიელთა გოლზე, რომელიც რიკარდო როდრიგესმა პენალტით გაიტანა და ამ დღეებში აუცილებლად იქნება საფეხბურთო სამყაროში კამათის საგანი.

საქმე ის არის, რომ შვეიცარიელი სტივენ ცუბერი მეტოქის საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ მსაჯმა თამაში არ გააჩერა, კონტრშეტევაზე უკვე პორტუგალიელი ბერნარდუ სილვა აღმოჩნდა გაზონზე და ბრიხმაც 11-მეტრიანი ნიშნულისკენ მიანიშნა. თუმცა, შემდეგ ვიდეოგამეორება ნახა, პორტუგალიელების პენალტი გააუქმა და ის დარღვევა დააფიქსირა, რომელიც მანამდე პირნეელთა საჯარიმოში მოხდა. ასე დაინიშნა პენალტი რუი პატრისიუს კარში.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ.

აქ კომენტარი ზედმეტია. რონალდუ ამტკიცებს, რომ პორტუგალიის ნაკრების დიდი კაპიტანია. თამამად უნდა ითქვას, რომ მან გაიყვანა ფინალში გუნდი. გაიტანა 3 ლამაზი გოლი, აქედან 2 მატჩის ბოლოს, როდესაც ძალები თითქოს გამოცლილია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალმა მოღალატე ქმარზე შური იძია

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მეუღლის განუწყვეტელი ღალატით გაცოფებულმა ქალმა მის ავტომობილს მინა ლითონის კიბით ჩაუმსხვრია.

ინციდენტი 3 ივნისს მოხდა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ქალმა გადაწყვიტა, შური ეძია მეუღლეზე, როდესაც შენიშნა, რომ მისი მანქანა ბორდელთან იყო გაჩერებული.

– გზაზე მოვდიოდი, შევჩერდი და დავინახე, თუ როგორ ტენიდა ქალი კიბეს მანქანის ფანჯარაში, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა და იქვე დაამატა, რომ ასე გადაუხადა ცოლმა სამაგიერო ქმარს, რომელიც მეძავებთან ღალატობდა.

ინტერნეტში ამასთან დაკავშირებით რამდენიმე იხუმრა, რომ შესაძლოა მამაკაცი ბორდელში სანტექნიკის ან ელექტროგაყვანილობის შესამოწმებლად იყო მისული, ეჭვიანმა ცოლმა კი მას ვერ გაუგო.

ჩვენს საყვარელ

კახა ხატიაშვილს

ვულოცავთ

დაბადების დღეს.

მედნიერება, დღეგრძელობა

და უფლის წყალობა

არ მოგაკლდეს.

სიყვარულით „ახალი თაობა“

ქალი მესამე ძუძუს გაკეთებას აპირებს

ამერიკელი ქალბატონი, რომელიც მრავალი წელი მესამე ძუძუს მულაჟით დადიოდა, მუდმივი იმპლანტატის ჩასადგმელად ოპერაციას გაიკეთებს.

25 წლის ჟასმინ ტრიდევილმა, რომლის ნამდვილი სახელი ალიშა ესლერია, საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ 2014 წლიდან მიიქცია, როდესაც განაცხადა, რომ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ახლა მას სამი ძუძუ აქვს. ბევრი პლასტიკურმა ქირურგი იმ აზრამდე მივიდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მაშინ გერმანელმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა. მან სხეულის სითბოს მაჩვენებელი ხელსაწყო გამოიყენა, რომელმაც აჩვენა, რომ გოგონას მესამე ძუძუზე რაიმე სახის სითბური ქსოვილები არ არსებობდა. ამის შემდეგ ის მულაჟის ტარებაში ამხილეს.

ტრიდევილმა პოპულარობა არასტანდარტული გარეგნობით მოიპოვა. მან განაცხადა, რომ არასოდეს აღიქვამდა თავის მესამე ძუძუს სერიოზულად, მაგრამ მოსწონდა, რომ მამაკაცების ყურადღებას იპყრობდა. ამერიკელი გოგონა აპირებს, ოპერაცია გაიკეთოს და უკვე მოძებნა ქირურგი ფლორიდაში. აღნიშნული პროცედურა მას 50 ათასი დოლარი დაუჯდება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის დამადასტურებელ ცნობას წარადგენს.

ამჟამად გოგონა თავის თაყვანისმცემლებს მხარში დგომას სთხოვს, რათა პლასტიკური ოპერაციისთვის საჭირო თანხა შეაგროვოს. მისი განმარტებით, ექიმი იმპლანტატის ჩასადგმელად მისი მკერდის ძვლოვან ქსოვილებს თანდათან გააფართოებს.



პოლიციელმა ჩაძინებული წყვილი ჩხრიალა გველისგან იხსნა

ამერიკის ტენესის შტატში შერიფის თანაშემწე ჩაძინებულ წყვილს ჩხრიალა გველისგან დაგესვლის თავიდან აცილებაში დაეხმარა.

შერიფის ოფისში შევიდა შეტყობინება, რომ მდელოზე, სოფლის გზის მახლობლად, ადამიანები იწვნენ. მიღებული ინფორმაციის შესამოწმებლად ადგილისკენ შერიფის თანაშემწე ადამ სისკი გაემართა. მითითებულ ადგილზე მართლაც ქალსა და კაცს ეძინათ, მათ მახლობლად კი ჩხრიალა გველი დასრიალებდა.

სისკი ავტომობილიდან გადავიდა, წყვილს მიუახლოვდა და დაუძახა. მისი ხმა მამაკაცმა გაიგონა და თავი წამოსწია.

– არ გაინძრე, – გააფრთხილა შერიფის თანაშემწემ, – პირდაპირ თქვენ გვერდით ჩხრიალა გველია.

მამაკაცი გაირინდა. სისკის ბრძანებისთანავე ის გვერდით გახტა და რამდენიმე მეტრი გაირბინა.

ქალს მხოლოდ მამაკაცის გაქცევის შემდეგ გამოეღვიძა. ის ნელ-ნელა წამოჯდა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და სახიფათო ადგილს ფრთხილად გაეცალა.

ერთგულმა ძაღლმა პატრონი გადაარჩინა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ძაღლმა თავისი პატრონი ვეფხვისგან იხსნა.

22 წლის პანცამ გაჯბე ძმასთან და ძაღლთან ერთად ტყიდან სოფელში ბრუნდებოდა. როდესაც ისინი ბუჩქნარში მიიკვლევდნენ გზას, მოულოდნელად მათ წინ ვეფხვი აღიმართა.

მტაცებელი გაჯბეს თავს დაესხა, წააქცია და ხელები და თავი დაუკაწრა. ძაღლის ყეფამ ვეფხვს ყურადღება მასზე გადაატანინა, ხოლო გაჯბეს ძმა სოფელში გაიქცა.

მალე შეიარაღებული სოფლის მცხოვრებლები შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მაშველები გამოჩნდებოდნენ, ძაღლს ყეფა არ შეუწყვეტია. ვეფხვმა ხმაურის გაგონებისთანავე ტყეს შეაფარა თავი.

– აშკარად სიკვდილი მემუქრებოდა, ვეფხვი თავზე მადგა, მაგრამ, სანამ კისერში მწვდებოდა, ძაღლმა ყეფა ატეხა. ამან მტაცებელი აიძულა, უკან დაეხია და გარკვეული დროის განმავლობაში ერთ ადგილას იდგა, – განაცხადა მამაკაცმა.

გაჯბე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ივნისისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **კურო** – მთლიანობაში, თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ელოდეთ ძვირფას სტუმრებს. მეორე ნახევარი თქვენით ამაყობს. **ტყუპები** – ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი დღეა. წარმატებული პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. ახლობლებს მრავალ ბედნიერ წუთს აჩუქებთ. **ლომი** – შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საინტერესო ადამიანები გაიცნოთ. მათთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დაიცავით კვების რეჟიმი. **ქალწული** – ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და იმ სიძნელეებს არ შეუშინდეთ, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **სასწორი** – მიუხედავად უსიამოვნო სიურპრიზებისა, ბეჯითად იმუშავეთ. ახლობელთან კონფლიქტის მოგვარებასაც შეძლებთ. ყური უგდეთ ჭკვიანი ადამიანების რჩევებს. **ღრიანცელი** – მშვიდი და პასიური დღეა. გუნდური მუშაობა წარმატებული იქნება. ნუ ეცდებით, იყოთ ორიგინალური. თავმდაბლად იშრომეთ. **მშვილდოსანი** – იმედები გაგიმართლებთ, განსაკუთრებით მოგზაურობისას და მივლინებისას. იყავით ინიციატივიანი და ხელმძღვანელობა ამას დაგიფასებთ. ახალი იდეების განხორციელებას დღესვე შეუდექით. **თხის რქა** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. ბედი გწყალობთ. წარმატებული დღე გაქვთ. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა რეკომენდებული არ არის. **თევზები** – იზრდება შრომის ნაყოფიერება. იზრუნეთ საკუთარ იმიჯზე, იყავით პრინციპული, თუმცა გონივრულ კომპრომისზე წასვლაც არ დაგაზარალებთ.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. აბრეშუმის ჭია; 2. ჩინური ფინიკი; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 9. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. აეროპორტი ქუთაისის მახლობლად; 11. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 14. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 16. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 18. სკანდინავიური ლეგენდა, თქმულება.

თარაზულად: 1. ხურდა ფული თურქეთში; 4. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ცნობილი არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი; 8. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. თაფლიანი ფიჭა; 17. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 19. ტკივილიანი მწვავე შეტევა გულის არეში; 20. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. მფრინავი ცხოველი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ურუგვაი; 2. დაშავა; 3. ბუქარესტი; 4. ხვიფლი; 5. რისლინგი; 7. აბიო; 11. ტაიფუნი; 13. ბეიძინი; 15. ოპეკი; 16. ჯოისი; 12. სინჯი; 19. გენია.

თარაზულად: 6. რეგატა; 8. ჩაკრულო; 9. პრიმასი; 10. ვიკონტი; 12. დაფნე; 14. ბიზონი; 17. რეიხსტაგი; 20. გლუკოზა; 21. ეკლერი; 22. ჯეჯილი; 23. სიტროენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფოკა; 2. ნაურუ; 3. კლონი; 5. ასკოტი; 6. სქოლიოზი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. გზა; 16. ჩიტაია; 18. კალა.

თარაზულად: 1. ფრანკი; 4. ტრავერსი; 7. ლუგანო; 8. ნექტონი; 12. მახრა; 13. ეგეოსი; 15. ალმასი; 17. ომი; 19. პანჩატანტრა; 20. სიმდი; 21. კახასა.

ხატია ბუნიათიშვილი ჰოლივუდში დაუკრავს

ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ამერიკაში, კერძოდ, ჰოლივუდში დაუკრავს.

მუსიკოსი 18 ივლისს კონცერტს ლოს ანჯელესში გამართავს.

ჰოლივუდში მდებარე ამფითეატრში ხატია ბუნიათიშვილი მსმენელის წინაშე ლოს ანჯელესის ფილარმონიულ ორკესტრთან და ვენესუელელ დირიჟორ გუსტავო დუდამელთან ერთად წარდგება.

ანიტა რაჭველიშვილი მეტროპოლიტენ ოპერის შემსრულებელთა საუკეთესო ათეულში მოხვდა

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი მეტროპოლიტენ ოპერის შემსრულებელთა საუკეთესო ათეულში მოხვდა.

ერთ-ერთმა უცხოურმა გამოცემამ ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის 2018-2019 წლების სეზონის საუკეთესო შემსრულებლები დაასახელა.

როგორც გამოცემა წერს, 2018-19 წლების სეზონი მეტროპოლიტენ ოპერაში ანიტას კარიერაში საუკეთესო იყო.

ქართველმა მეცომ საოპერო სეზონის განმავლობაში სამი განუმეორებელი როლი შექმნა და ყოველი ახალი ნამუშევარი მის საშემსრულებლო კარიერაში ერთიმეორეზე უკეთესი იყო.

ქუთაისის მესხიშვილის თეატრი და ბალანჩივაძის ოპერის თეატრი გარემონტდება

ქუთაისში მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი და ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრი გარემონტდება.

დაგეგმილი რეაბილიტაციის შესახებ ჟურნალისტებთან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მიხეილ გიორგაძემ ისაუბრა:

– მესხიშვილის თეატრის, ასევე ოპერის თეატრის სრული რეაბილიტაციის პროექტი მზადდება. მუშაობა დაწყებულია და წელს დასრულდება. მომავალი წლიდან დაიწყება ფიზიკური სამუშაოები. ჩემი ღირსების საქმეა და მე ეს შევასრულე, ვგულისხმობ თოჯინების თეატრს. წელს სრულიად რეაბილიტირებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თოჯინების თეატრი ჩვენს ბავშვებს შემოდგომაზე კარს გაუღებს. ამ ქალაქს ეკუთვნის, რომ თანამედროვე სტანდარტებით გამართული თეატრები ჰქონდეს.

ქუთაისში ამჟამად თოჯინების თეატრის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სულ მალე კი დრამატული თეატრისა და ოპერის თეატრის რეაბილიტაცია დაიწყება.

სალომე ტეტიაშვილი ექიმებით უკმაყოფილოა

მომღერალი სალომე ტეტიაშვილი ექიმებით უკმაყოფილოა. მისი დედა, რომელიც პოპულარული კომედი შოუს სკეტჩებში სიდედრის როლის შესრულებით გახდა, წელიწადნახევარია, წვივის ღია მოტეხილობის გამო ვერ დადის.

ექიმთან 80-ლარიანმა ერთ-ერთმა ბოლო კონსულტაციამ კი მომღერალი ძალიან გაანაწყენა:

– წელიწად-ნახევარია, დედა-ჩემი წვივის ღია მოტეხილობის გამო ფეხზე ვერ დადის, ფეხში რკინის აპარატის დგომის პერიოდში, წაქცევის შედეგად მეორე დარტყმა მიიღო იმავე ფეხის მუხლზე, აპარატის ამოღების შემდეგ, აგვისტოს მერე კოჭლობს, მილიონი ექიმის კონსულტაციების, ბოდიალისა და გადაყრილი ფულების შემდეგ დღეს უკანასკნელი იმედით, რომ ხელოვნური იმპლანტი არ დასჭირდეს მუხლში, რომელიც 8000 ლარი ღირს, მივბრძანდით მედიქლაბში, 2 საათი რიგში დგომის შემდეგ ექიმის პასუხი: – ისე იარე, რომ არ იკოჭლო. პ.ს. კონსულტაციის ფასი: 80 ლარი. ძალიან კმაყოფილი ვართ, დიდი მადლობა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დათო ევგენიძე გეგა კობახიძეზე: „გეგას წასვლა საოცარია“

კომპოზიტორმა და პოეტმა დათო ევგენიძემ თავისი მეგობრის, მსახიობ გეგა კობახიძის შესახებ გადაცემა „მუსიკის 12 მოციქულში“ ისაუბრა:

– ბოლო საღამო და გეგას წასვლა საოცარია. მის ქორწილში ვიყავით მე და ირაკლი ჩარკვიანი ერთად. რაღაცნაირად დისკომფორტში ვიგრძენით თავი ორივემ, ადრე ავდექით და წამოვედით. მაია ზედგენიძესთან მივედით, ვიღაცასთან მივედით და ბოლოს ნუცუბიძის სახლში ავედით. ახალი მოცემული ჰქონდათ, მაშინ ბინებს აძლევდნენ.

იქ „ადიალები“ ეყარა, „უდარნიკი“ გვედგა, გიტარა, პიანინო... მე და ირაკლი რომ ავედით, დაგვხვდა გეგას წერილი: „ვიყავით მე და კომპანია“. თურმე სულ ყველა მოსულან. ირაკლის ვუთხარი, რადგან გეგა ხვალ მიფრინავს და ქორწილიდან აქ მოვიდა, ე.ი. ძალიან უნდოდა ჩვენი ნახვა-მეთქი. მივაკითხეთ ნუცუბიძიდან. კანდელაკზე ცხოვრობდა პირველ სართულზე, დავუკაკუნეთ, ტრუსიკში იყო, ააყენა ცოლი და წამოვიდა.

არასდროს არ დამავიწყდება ეგ საღამო. ავედით ნუცუბიძეზე, გეგა მაიმუნობდა, „უდარნიკზე“ დაჯდა, ირაკლიმ გიტარა აიღო, მე პიანინოზე ვუკრავ და ეს ცოლი არ იღიმის. ირაკლი გავიყვანე სამზარეულოში, ეტყობა, ამ გოგოს არ ვევასებით, იმიტომ რომ რაღაც უჟმურია, არც იცინის, არც იღიმება-მეთქი, თურმე რა დროს ღიმილია...

დილის 8 საათზე გეგა მივიყვანეთ სახლში. დათო ტურაშვილს რომ აქვს წიგნში, ქემელის „პაჩკას“ ვითომ ქორწილში რომ ისვრის, ჩემი მონაყოლია. სახლში რომ მივიყვანეთ, გეგამ ქემელის „პაჩკა“ გადმოგვიღო, თურქბიშ ბრენდო გვითხრა და გვესროლა. 8 ღერი იყო ამ კოლოფში, ირაკლი რომ დავტოვე ელექტრონიკასთან, მე რუსთაველზე მივდიოდი ჩემს ბინაში, 4 ღერი ამოვიღე, ირაკლის მივეცი, 4 ღერი მე დავიტოვე და ვთქვი, გეგა როგორ გაგვიქრა-მეთქი. რამ მათქმევინა ეს, დღემდე ვერ ვხვდები. ირაკლი, ამ ოთხ ღერს მოწევ, ამ ოთხ ღერს მოვწევ და გეგა გაქრება-მეთქი. ოღონდ ალეგორიულად ვუთხარი, როგორ უნდა წარმომედგინა, რა მოხდებოდა.

მძინავს, უკვე შუადღეა და ირაკლი მაღვიძებს, გეგამ თვითმფრინავი გაიტაცაო. არ მჯეროდა. არადა, თურქიშ ბრენდო, მესიჯი მოგვცა გეგამ.

დაკითხვაზე ვიყავით მეც და ირაკლიც. ძალიან დიდი ტრავმა იყო გადატანილი გეგათი და ირაკლიმ ხომ საერთოდ მომკლა.

ირაკლი ჟვანია მრგვალი ბაღის დაბეტონების წინააღმდეგია

მოქანდაკე ირაკლი ჟვანია, რომელიც მრგვალ ბაღში დადგმული პატარა უფლისწულის ავტორია, ბაღის ბეტონის ფილებით განახლების წინააღმდეგია:

– მიმართვა კახი კალაძეს: მერიიდან დამიკავშირდნენ და მთხოვეს ჩემი გაქურდული და გავერანებული ქანდაკების აღდგენა. რასაკვირველია, ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. იქ ყოფნისას ვიკითხე, რატომაა აყრილი გარშემო ყველაფერი-მეთქი. მითხრეს, რომ ქვემოთ თურმე ბეტონის ფილები იგება. ??

ჩემი თხოვნაა, როგორც ამ ბაღის ერთ-ერთი გულშემატკივრის და, ვფიქრობ, ბევრი დამეთანხმება, კახი, ნუ დააგებთ ამ ბეტონის ფილებს მრგვალ ბაღში. ჰქონდეს ბაღს თავისი განუმეორებელი ხიბლი, რასაც ბაღი ჰქვია, და არა ისე, რაც გეგეშიძის ბაღში გააკეთეს, ბეტონის ფილებში რომ ჩასვეს ეს ულამაზესი ბაღი და სუპერმარკეტის იატაკს დაამსგავსეს.

მრგვალ ბაღს უხდება თავისი ისტორიული წითელი საფარი. თუ ეს საფარი მტვრიანია, კი ბატონო, დაიყაროს წითელი მერქანი, როგორც ეს საბურთალოზე გაკეთდა, მაგრამ არა ეს მდაბიო ბეტონის ფილა.

ვარინკა წერეთელს სამებაში გაიხსენებენ

ცნობილი სიმღერის „სულიკოს“ ავტორს ვარინკა წერეთელს სამებაში გაიხსენებენ.

7 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში?საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში მაჭავარიანთა საგვარეულო კავშირის ორგანიზებით გაიმართება ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთლის, უკვდავი „სულიკოს“ ავტორის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „მაისის ბულბული“, ასევე – ლერი ალიმონაკის წიგნის „ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთელი“ წარდგინება.

ღონისძიებას გაუძღვებიან მაჭავარიანთა საგვარეულოს წინამძღოლი თინათინ მაჭავარიანი და ზურაბ მაჭავარიანი. ვარინკა წერეთლისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საპატრიარქოს ანსამბლი „სამება“, სამედიცინო უნივერსიტეტის ვაჟთა და ქალთა ანსამბლები.

მაია დარსმელიძე თბილისურმა ზოზინმა დაღალა

მომღერალი მაია დარსმელიძე თბილისურმა ზოზინმა დაღალა:

– რა მღლის, იცით, ამ ქალაქში?

ზოზინობა. ძალიან მცირე დროში ცხრაასი საქმის გაკეთება რომ შეგიძლია და მენტალური ტემპი იმდენად ტორმუზი და უპასუხისმგებლოა, რომ ვერ მოგყვება, ვერ გიწყობს ფეხს და გაფერხებს.

მაცოფებს, როდესაც იძულებით ვარ დამოკიდებული სხვის კუს ნაბიჯებზე და ძაან ძაან კატასტროფულად შენელებულ აზროვნებაზე.

ალიგატორი მოპიკნიკეებს ესტუმრა და მთელი სადილი შეჭამა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ გეინსვილში ალიგატორი პიკნიკზე მივიდა და მთელი სადილი შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტეილორ ფორტემ ტბა ელისის ნაპირთან საქმროსთვის, რომელიც სამხედრო სამსახურში მიდიოდა, გამოსამშვიდობებელი პიკნიკი გამართა. მოულოდნელად წყალსატევიდან ალიგატორი ამოვიდა და გაემართა მიწაზე გაფენილი სუფრისკენ, რომელზეც პიკნიკისთვის მომზადებული საჭმელები ეწყო.

წყვილმა უსაფრთხო მანძილზე გაქცევა მოასწრო და შემდეგ იქიდან აკვირდებოდნენ, როგორ შეექცეოდა ქვეწარმავალი მათ საჭმელებს. ალიგატორმა ყველის ნაჭრიდან დაიწყო, შემდეგ ძეხვი სალიამი გადაყლაპა, რასაც ნახევარი საზამთრო და ნახევარი კილოგრამი ყურძენი მიაყოლა. ამის შემდეგ რეპტილია გუაკამოლეზე გადავიდა და ჯერ დიდი ჯამის შიგთავსი შესანსლა, შემდეგ კი თავად ჯამიც მიაყოლა. ფორტეს თქმით, ეს ყველაზე საშინელი სანახავი იყო. გოგონას საქმრო შეეცადა, ალიგატორი გაეგდო. მან ხელები ფართოდ გაშალა, რათა ქვეწარმავლის თვალში უფრო დიდი გამოჩენილიყო და ღრიალი მორთო. ამის შემდეგ ალიგატორმა ქეიფი შეწყვიტა და ისევ ტბას მიაშურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაშა მარგიანი „მოკლეს“

ახალგაზრდა პოეტი ლაშა მარგიანი „მოკლეს“. ისტორია, რომელიც პოეტს თავს გადახდა, მან თავად გაიხსენა:

– სასაცილოა თუ სატირალი, არ ვიცი, მაგრამ ერთხელ ერთი მესაუბრებოდა პოეზიაზე და შუა საუბარში მეუბნება, განსაკუთრებულად მიყვარს ლაშა მარგიანის პოეზიაო, რა ნაადრევად წავიდა ისიც ამქვეყნიდანო, ლამის ცრემლი მოადგა თვალზე და ჩემი ლექსების კითხვა დაიწყო, ძლივს შევიკავე სიცილი, ყოველი შემთხვევისთვის, ვკითხე, როდის გარდაიცვალა-მეთქი და, თუ არ ვცდები, ტერენტის მერეო, გასული საუკუნის 40-იან წლებშიო, ზუსტი თარიღი ვერ გაიხსენა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.7411
- ევრო — 3.0794
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4745
- 100 რუსული რუბლი — 4.2260

ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ანეკდოტი

კარზე აკაკუნებენ. ქალმა გააღო და მამაკაცი ეუბნება:

– ბოდიშით, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ. სამსახურში შემაგვიანდა, მაღაზიაში მარილი ვეღარ ვიყიდე და ხომ ვერ მომცემთ.

– შემობრძანდით, მოგცემთ, როგორ არ მოგცემთ. მარილს კი ვერ მოგცემთ, მე თავადაც გამითავდა...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– თქვენ სურათს ვერ მაჩუქებთ?

– რისთვის? – კეკლუცად ეკითხება ქალი.

– მაცივარზე მივაკრავ, ბავშვები ახლოს რომ აღარ გაეკარონ.

•••

მოხუცი მამაკაცი სახლში დაბრუნდა და ხედავს, ახალგაზრდა გოგო მის ბინაშია შეპარული. კაცმა კარი ჩაკეტა და ტელეფონის ყურმილი აიღო. გოგონა ატირდა და ემუდარება:

– ოღონდ პოლიციაში არ დარეკოთ და რასაც მეტყვით, ყველაფერზე თანახმა ვარ.

მამაკაცმა გოგონა საძინებელში შეიყვანა. იქიდან ისმის: „იქნებ სხვანაირად“, „იქნებ ასე გამოვიდეს“...

ნახევარი საათის შემდეგ, მამაკაცი:

– რა გაეწყობა, მაინც მომიწევს პოლიციაში დარეკვა...

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, გადავწყვიტე, რომ კარიერა ორგანიზებულ დანაშაულში ავიწყო.

– სახელმწიფო თუ კერძო სექტორში?

კაილი ჯენერმა მალიბუში ფოტოსესია გამართა

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერმა და მეწარმემ კაილი ჯენერმა მალიბუს პლაჟზე გამართულ ფოტოსესიაში გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილმა მიიღო მონაწილეობა. ამ მოვლენის ამსახველი პაპარაცის მიერ გადაღებული ფოტოსურათები ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გადაღებები ჯენერის პირადი კოსმეტიკური ბრენდის Kylie Cosmetics-ს ახალი სარეკლამო კამპანიის ფარგლებში წარიმართა.

სურათებზე ჩანს, თუ როგორ პოზირებს 21 წლის გოგონა, სველ ნაცრისფერ ბლუზსა და ასიმეტრიულ ქვედა ბოლოში გამოწყობილი. საკუთარი სახე მან მასიური მსხვილი ქვებით დამშვენებული საყურეებითა და ბეჭდებით შეავსო.

ორცხობილამ წინასწარმეტყველებით ამერიკელს მილიონობით დოლარი მოაგებინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა ასეულმილიონიანი ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, რაც ლატარიის ბილეთში ჩაწერა რიცხვები, რომლებიც წინასწარმეტყველებიან ორცხობილაში ამოუვიდა.

66 წლის ჩარლზ ჯექსონმა მას შემდეგ გადაწყვიტა, ლატარია ეთამაშა, რაც შვილიშვილმა მას ვიეტნამურ რესტორანში ნაყიდი ორცხობილა მისცა, რომელშიც წინასწარმეტყველებიანი ფურცელი იდო. იღბლიანმა ციფრებმა მამაკაცს 344,6 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა, რაც შტატისთვის რეკორდულია.

მამაკაცმა მოგების შესახებ მოგვიანებით შეიტყო. ის ამტკიცებს, რომ ტელევიზორში ახალ ამბებს არ უყურებს და ამიტომ არ იცოდა მოგების შესახებ. ჯექსონმა მომგებიანი კომბინაცია ინტერნეტში ნახა და ეგონა, მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა, მაგრამ, როდესაც ორგანიზაციის ოფისში მოგების მისაღებად მივიდა, გააოგნა ცნობამ იმის შესახებ, სინამდვილეში რა თანხა ჰქონდა მოგებული.

მამაკაცმა გადაწყვიტა, ერთიანად აეღო 223 მილიონი დოლარი და უარი თქვა რამდენიმე წლის განმავლობაში თანხის ნელ-ნელა მიღებაზე. ის მოგებული თანხის ნაწილის ქველმოქმედებაში დახარჯვას გეგმავს, ერთ მილიონ დოლარს კი ძმას მისცემს. მათ დიდი ხნის წინ მოილაპარაკეს, რომ თუ ერთ-ერთი მათგანი მსხვილ ჯეკპოტს მოხსნიდა, მეორეს მილიონს აჩუქებდა.

– არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ფულის გროვას. იმედი მაქვს, ძალიან არ შემცვლის. კვლავაც ჯინსებით ვივლი, თუმცა, შესაძლოა – ახლებით, – განუცხადა ჟურნალისტებს მამაკაცმა. მან ასევე დაამატა, რომ მეუღლესთან ერთად ვიეტნამში ჩასვლას აპირებს, სადაც ბოლოს ოცი წლის წინ იმყოფებოდა.

ქალმა ჟოლოს შეკვრაში გეკონი აღმოაჩინა

დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ სუპერმარკეტში ქალმა ჟოლოს პლასტიკატის შეფუთვაში ცოცხალი გეკონი აღმოაჩინა.

ლაურა ჯონსონმა შენიშნა, რომ მის წინ მყიდველმა აიღო ჟოლოს შეკვრა, რომელშიც ხვლიკი იჯდა. ქალს შეეშინდა, რომ გეკონი, შესაძლოა, გადაეგდოთ და ამის შესახებ სუპერმარკეტის თანამშრომელს აცნობა. მან, თავის მხრივ, ქვეწარმავალი ცხოველთა დაცვის სამეფო საქველმოქმედო ორგანიზაციას გადასცა.

– ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ გეკონი არ დაშავებულა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ჯონსონმა.

სუპერმარკეტის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, დაიწყო იმის გამოძიება, თუ როგორ მოხვდა ქვეწარმავალი ჟოლოს შეკვრაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 2. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 3. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 4. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 5. დიდი სარეკლამო პლაკატი; 7. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 11. ხალხური თქმულება; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 16. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 18. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

თარაზულად: 6. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 8. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 9. ტკბილი შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. მაღალხარისხოვანი ბროლი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 20. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანგ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/